

ს. 59  
3

სერბი მკვლევართა



# ჯეგე-ვისარონის კულტი კვლ საქართველოში

საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი  
თბილისი — 1938

*(გეორგი-ბიბლს)*

ჯეგე-ვისაროსის კულტი  
სსსრ-ის სსრ-ის  
სსსრ-ის სსრ-ის

*K 16.659  
3*



С. МАКАЛАТИЯ



**КУЛЬТ ДЖЕГЕ-МИСАРОНИ (Георгий-Митра)  
В ДРЕВНЕЙ ГРУЗИИ**

საქართველოს  
ეროვნული ბიბლიოთეკა  
1-332-2000  
0002-2000

ГРУЗИНСКОЕ КРАЕВЕДЧЕСКОЕ О-ВО  
ТБИЛИСИ—1938

S. MAKALATHIA



LE CULTE DANS L'ANCIENNE GEORGIE  
DE DJEGUE-MISSARONI

(Giorgié-Mithra)

ს. მაკალათია

ჯვზე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში<sup>1</sup>

ქრისტიანობის წინამორბედ წარმართ ღვთაებათა შორის ძველ მსოფლიო-ში უპირველესი ადგილი ღვთაება მირსას ან მითრას ეკირა.

მითრაიზმი წარმართული მოძღვრების უკანასკნელი და უძლიერესი სიტყვა იყო; მისი მკვლევარნი ერთხმად გვარწმუნებენ, წარმართულ მსოფლიოს ქრისტიანობა რომ არ მოვლენოდა, კაცობრიობა მითრას იწამებდაო. როგორც მითრაიზმის შესახებ არსებული წყაროებიდან და საკმაო დიდი მეცნიერული ლიტერატურიდან ჩანს<sup>2</sup>, ამ ღვთაების კულტის გავრცელების ისტორია შესაძლებელია ორ ხანად გაიყოს.

პირველი ხანა შეიცავს მითრას ღვთაებრიობის აღმოსავლეთში წარმოშობისა და მისი კულტის მცირე აზიაში გავრცელების ისტორიას, უძველესი დროიდან I საუკუნემდე ძ. წ.

მეორე ხანა-კი მითრას კულტის მცირე აზიიდან დასავლეთ ქვეყნებში გავრცელებით იწყება, სახელდობრ ძველი რომის იმპერიის მთელს სივრცეზე I საუკუნიდან ძ. წ.—I საუკუნემდე ჩ. წ.

უძველესი ცნობები მითრას შესახებ დაკუთვნილია ინდოელთა „რიგ-ვედა“-ში, სადაც ის მოხსენებულია მთავარ ღვთაება-ვარუნასთან თითქმის განუყრელად. მას უწოდებენ ვარუნა-მითრას, ან მითრა-ვარუნას, რომელიც ნათელისა და ბრწყინვალე ცის ღვთაებად იყო აღიარებული და აგრეთვე ყოველგვარი სიკეთისა და სიცოცხლის წყაროდ მიჩნეული. ეს ტყუბი ღვთაება ყოვლის მცოდნე და მხილველია. ორივე ერთს ეტლში სხედან, ერთს ფიქრობენ, ცრუს და მატ-

<sup>1</sup> ამ გამოკვლევის პირველი ნაწილი შემოკლებით დაიბეჭდა საქართველოს მუზეუმის მოამბეში ტ. III, ტფილისი 1927 წ. (იხ. ს. მაკალათია, ღვთაება მითრას კულტი საქართველოში, გვ. 179—193).

<sup>2</sup> Franz Cumont, Textes et monuments figurés, relatifs aux mystères de Mithra, t. I, II, Paris 1896, 1899; მიხივე Les mystères de Mithra, Bruxelles, 1902; Roscher, Lexikon der gr. u. röm. Mythologie s. v. Mithras, (II, 2029 ff); A. Gasquet, Essais sur le culte et les mystères de Mithra, Paris, 1898; Windischmann, Fr. Mithra, ein Beitrag zur Mythengeschichte des Orients, Lpz. 1857., გვ. 89. A. Meillet, Le dieu indo-iranien Mitra (Journal Asiatique, t. X, 1907 გვ. 143—159; Alfred Hillebrandt, Zur vedischen Mythologie (Zeitschrift für Indologie und Iranistik, Band VII, Heft 7, 1924).



ყოფის სასტიკად სდევნიან და სამყაროსაც ერთად განაგებენ. მზე ვარსკვლავთ-  
რას თვალად ითვლებოდა და მისივე გამოხატულების სიმბოლო იყო.

ვედასთან შედარებით უფრო ვრცელი ცნობებია დაცული მითრას შესახებ ძველი პართების „ავესტა“-ში, სადაც მისი სავედრებელი ჰიმნებიცაა შეტანილი. ავესტაში მითრას „Mithr“—„მიჰრ“ ეწოდება, რომელიც ნათელს, ან სინათლეს ნიშნავს და მუდამ მთავარი ღვთაების აპურა-მაზდას გვერდით იხსინება.

მითრა, როგორც სინათლის ღვთაება, ავესტაშიაც მზედ და აპურა-მაზდას თვალად იწოდება. მისი სამფლობელო ნათელი ცაა, და ყველა ციური მნათობიც მას ემორჩილება.

მითრა მზის, მთვარის და ვარსკვლავების დახმარებით სამყაროს ბოროტებისაგან იცავს და ის გუშავივით სდგას კეთილი ღვთაების აპურა-მაზდის (სინათლის) და ბოროტი ღვთაების არიშანის (სიბნელის) შუა და იბრძვის ბოროტების დასათრგუნავად.

მითრას შესახებ „იეშთ-სადე“-ში<sup>2</sup> ნათქვამია, რომ „ზეციერ არსებათა შორის ის პირველი თანამგზავრია უკვდავისა და სწრაფმავალი მზისა და თავისი მოწყალე თვალთ მითრა ზეციდან უმზერს არიელთა სადგომებს, ანაყოფიერებს მათ მიწას და საქონელსაც ვრცელ საძოვრებს აძლევს“. ამავე იეშთ-სადე-ში აგრეთვე ნათქვამია, რომ მითრა, ვრცელი საძოვრების მფლობელია, თავისი გაციკროვებული სამყაროდან ვარსკვლავებით შემკული ეტლით გამოდის, რომელსაც თეთრი ფერის და ოქროს ჩლიქებიანი ოთხი კვიცი მიაქროლებსო. ის, როგორც სინათლის კეთილი ღვთაება, ყოველგვარ სიბნელესა და ბოროტებას სასტიკად სდევნის. ამიტომ მითრა ჰიმნებში გამოყვანილია, როგორც კეთილთა მფარველი და დაჩაგრულთა მოსარჩლე. ამასთანავე მითრა განსაკუთრებით წარმოდგენილია, როგორც ძლიერი მხედარი და მხედართა მფარველი. იეშთ-სადეს ერთერთს ჰიმნში ნათქვამია: „მითრა ვერცხლის ჩაფხუტიანი მხედარია, ტანზე აცვია ოქროს აბჯარი, ჰკიდია გამგმირავი ხანჯალი, ხელში უჭირავს გრძელი მახვილი და თეთრ ცხენზე ზის“. მითრამ ძილი არ იცის, მუდამ ფხიზლად იცავს აპურა-მაზდას ქმნილებათ. ის ყველა ღვთაებაზე უმაღლესი და უძლიერესია, მეტად ფხიზელი, მეტად სწრაფი და ყველაზე მეტად ეშმაკთა მმუსრავი. ლაშქრობის წინ მორწმუნენი აპურა-მაზდასთან მითრასაც ვედრებით მიმართავენ და მას მტრებზე გამარჯვებას შესთხოვენ. მითრა

<sup>1</sup> James Darmesteter, Ormazd et Ahriman, Paris 1877, chapitre VIII, Vahuna et Mitra-Ahura et Mitra. გვ. 62—86; З. Рагозина, История Мидии, СПб. 1903 г. გვ. 47—48; А. Барт, Религии Индии, Моск. 1897 г. გვ. 71—72.

<sup>2</sup> იეშთ-სადეში მოთავსებულია მითრას და სხვა იხანათთა (კეთილი სულების) სავედრებელი ლოცვები და ჰიმნები და შეადგენს მცირე ავესტას (Khorda-Avesta): об. J. Darmesteter, Le Zend-Avesta, II. vol. Paris 1892. Khorda-Avesta, Mithr yashit. გვ. 441—480. F. Spiegel, Commentar über des Avesta, II Band, Wien, 1868, Khorda-Avesta, Mithr-yashit, გვ. 546—586; F. Spiegel, Iranische Alterthumskunde. 3 vol. Leipzig 1878.



ათასი თვალით და ყურითაა შეიარაღებული. ის ყველაფერს ხედავს, მას ყოველივე ესმის<sup>1</sup>.

ერთი სიტყვით, აქ მოყვანილი მოკლე ცნობებიდან უკვე თვალსაჩინოდ ირკვევა, რომ მითრა აპურა-მაზდას მეორე პირს წარმოადგენდა, ებრძოდა ბოროტებას და კეთილმორწმუნეების მფარველ ღვთაებად ითვლებოდა.

ძველ სპარსეთში მითრას კულტი განსაკუთრებით აქემენიდების დროს გაძლიერდა: ის მხედართა მფარველ ღვთაებად იყო აღიარებული და მის სახელწოდებას თვით ირანის მეფეები და სარდლებიც ატარებდნენ. დარიოს მეფემ (485 წ. ძ. წ.) მითრას გამოხატულება სამეფო სასაფლაოს თვალსაჩინოდ აღვილზე მოათავსა. არტაქსერქს მნემონმა (358 წ. ძ. წ.) მითრას ქანდაკება თავისი სასახლის ტაძარში მოათავსა.

ამიერიდან მითრა ირანის მეფეების მფარველ ღვთაებად იქცა, მის სახელს ისინი ფიცულობდნენ და მას ცხენებს სწირავდნენ. ირანის სამეფო ჯარს წინ მუდამ მიუძღოდა მითრასადმი შეწირული ეტლი, რომელშიაც ექვსი თეთრი ცხენი იყო შებმული. ამიტომ სადაც ირანის ძღვევამოსილი ჯარი შედიოდა, იქ მას თავისი მფარველი ღვთაების მითრას კულტიც შექონდა და მაზღვანობასთან ერთად მითრაიზმსაც ავრცელებდა.

ამით აიხსნება ნ. კუნის აზრით ის გარემოება, რომ მითრას კულტი ასე სწრაფად ვრცელდებოდა მცირე აზიაში, განსაკუთრებით პონტოსა და კაბადუქიაში, სადაც ბატონებდნენ ირანის არისტოკრატები და სადაც მითრას კულტის და ადგილობრივ ღვთაებათა ერთგვარი გადაჯვარდინება მოხდა; ჩქარა კაბადუქია მითრაიზმის რწმენის გამტარებელ სადგურადაც იქცა, საიდანაც მითრას კულტი წიფელს იმდროინდელ მსოფლიოში არაჩვეულებრივი სისწრაფით ვრცელდებოდა<sup>2</sup>.

მაგრამ, ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ გარემოებით არ უნდა აიხსნებოდეს მითრაიზმის მცირე აზიაში ასეთა გავრცელების მიზეზები; აქვე აღმოჩენილი ხეთური ძეგლები მოწმობენ, რომ მცირე აზიაში მითრას კულტი აქემენიდების გაბატონებამდე უნდა არსებულებოდა.

1906 წ. პ. ვინკლერის მიერ მცირე აზიაში (ბოლახკოში) აღმოჩენილ სახელმწიფო არქივის ტექსტებში ხეთელი მეფეები სხვა ღმერთებთან ერთად, მიტანიურ ენით აგრეთვე ღვთაება „Mitrassil“-საც (მიტრასსილ) იმოწმებენ, (Mitteilungen der Deutschen Orientgesellschaft. № 35). აღნიშნული არქივი ეკუთვნის 1500 წ. ძვ. წ. და, როგორც ხეთების ისტორიის მკვლევარნი ამტკიცებენ, ხეთების პოლიტიკურ-კულტურული ბატონობა გავრცელებული უნდა ყოფილიყო მთელს მცირე აზიაში და კავკასიაშიც<sup>3</sup>.

*მიტრასილი მიტრასი ქოა მ ზეზილი*

<sup>1</sup> З. А. Рагозина, Op. cit. 83, 80, 82. 83: Бетани и Дуглас, Великие религии Востока, Москва, 1899 г., гл. 293; Д. П. Шантени-де-ля Сосей, История религии, т. II, гл. 190; Джон Робертсон, „Митраизм“ (Религиозные верования с древнейших времен до наших дней), гл. 211—224.

<sup>2</sup> Н. А. Куш, Предшественники христианства, Москва 1922 г. гл. 123.

<sup>3</sup> Проф. А. Захаров, Хеттский вопрос: Новый Восток 1923 г. № 1, гл. 251—258.



ამიტომ შესაძლებელია ღვთაება მითრას კულტი მიტანიელების და ხელოვნების გავლენით გავრცელებული ყოფილიყო მთელს აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნებათა შორის და ამ გარემოებითაც უნდა აიხსნებოდეს, რომ პონტოში, კაბადუქიაში და საზოგადოთ მცირე აზიაში აქემენიდების იქ ბატონობის დროს მათ შორის მითრას კულტიც ასე სწრაფად და ადვილად ვრცელდებოდა. მით უმეტეს ჩვენ ვიცით, რომ აქემენიდური სპარსეთი კულტუროსანი აღმოსავლეთის პირდაპირი მემკვიდრე იყო და ის ჩქარა მოექცა მის მიერვე დაპყრობილ შუა მდინარის ერების კულტურულ-სარწმუნოებრივი გავლენის ქვეშ, და აღმოსავლეთის ახალი რწმენით გააზიარებული და აქემენიდების მიერ განახლებული და გაძლიერებული ღვთაება მითრა ხელმეორედ მოველინა იმდროინდელ მსოფლიოს.

მითრას კულტი გავრცელებული იყო აგრეთვე ძველ სომხეთშიც<sup>1</sup> და მას „*Միր*“ „მიპრ“ ეწოდებოდა: მას აგათანგელოსი ორმუზდის შვილს უწოდებს და მისივე ცნობით მითრას სიმდიდრით განთქმული ტაძარი სომხეთში ძველ ბაგააარინჯში იმყოფებოდა: „მოვიდა იგი (გრიგოლ განმანათლებელი) მოახწია „მირჰულ“ ტაძარსა წოდებულსა ძისა არმაზდისასა, სოფელსა შინა, რომელსაც პართელთა ენით ეწოდება ბაგააარინჯ“-იო<sup>2</sup>.

სომხური მიპრის ღვთაებრივობის ხილული განსახიერება იყო ორგვარი: „*Արեգ-սին*“ (არეგ-აენ) შუის თვალ-ორმუზდის თვალი ან ხილული მზე. მეორე „*Լուսին*“ (ლუსინ) მთვარე, რომელსაც მოსე ხორენელი ცეცხლის დას უწოდებს<sup>3</sup>.

მითრას განსახიერების ამ ორი ღვთაების უმთავრესი ტაძარი სომხეთის ძველ სატახტო ქალაქში არმავირში ყოფილა, სადაც მათი კერპები სვენებულა და გაუქრობელი ცეცხლი ნთებულა. ძველ სომხეთში მითრას კულტი განსაკუთრებით მხედრობაში ყოფილა გავრცელებული და თვით სომხეთის მეფეებიც, რომლებსაც ირანის მეფეებთან დინასტიური კავშირიც ჰქონდათ, ხშირად მითრას სახელწოდებასაც ატარებდნენ. სომხურ მიპრს თავისი სადღესასწაულო თვეც ჰქონია, რომელსაც „მეჰეკი“ ეწოდებოდა და იგი ძველ სომხურ კალენდარში უდრიდა თებერვალს<sup>4</sup>.

ახლა ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ, არსებობდა თუ არა წარმართულ საქართველოში მითრას კულტი?

თუ ჩვენ ამ მიზნით თვალს გადავავლებთ ქართულ ღვთაებათა ბანთონს, მასში ამგვარი სახელწოდების ღვთაებას ვერ ვიპოვით. არც ქართულ საისტო-

<sup>1</sup> F. Simon, Op. cit., t. I, გვ. 13—20; Н. О. Эмин, Очерк по религии Армян: Исследования и статьи, Москва, 1896 г. გვ. 26—28; თადეოს ავდალბეგიანი, მიპრი სომეხთა შორის (სომხურ ენაზე). ვენა 1929 წელი.

<sup>2</sup> სომხეთის ისტორია აგათანგელოსისა, გამოცემული გ. ტერ-მკრტიჩიანისა და სტეფანე კანაიანცის რედაქციით (სომხურ ენაზე), ტფილისი 1909 წ. გვ. 411—412 (§ 700).

<sup>3</sup> Н. О. Эмин, Op. cit. გვ. 26—28; Мойсей Хоренский, История Армении, перевод Эмина, Москва 1898 г. кн. II, гл. VIII.

<sup>4</sup> Н. Hübschmann, Armenische Grammatik, I Theil. Armenische Etymologie, Leipzig 1897, გვ. 194; Этимологический коренной словарь Армянского языка, IV том, составил проф. Р. Ачарян, Эривань 1930 г. გვ. 958—960. (სომხ. ენაზე).





რომ წყაროებში და ნივთიერ ძეგლებში მოიპოვება მის შესახებ პირდაპირი ცნობები. მაგრამ მიუხედავად ამისა ქართველი ტომების მკვიდრო კულტურისა და სარწმუნოებრივი კავშირი აღმოსავლეთის კულტურისან ერებთან გვიკარნახებს ჩვენ ვიფიქროთ, რომ მითრიაზმის უნივერსალური რწმენა ქართველებშიაც უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

ქართულ უძველეს მატრიანეში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ქართველთა მთავარ ღვთაებად არმაზია მოხსენებული, იგივე აპურა-მაზდა<sup>1</sup>, სომეხთა ისტორიკოსის მოსე ხორენელის ცნობით, ქართველები არმაზს (არამაზდს) დილა აღრიან თავიანთ სახლების ბანიდან თაყვანს სცემდნენ თურმე<sup>2</sup>. ხოლო ღვთაება არმაზის და ცეცხლის თაყვანისცემის კულტის საქართველოში არსებობა<sup>3</sup> თავისთავად ჰგულისხმობს მითრას რწმენის ჩვენში არსებობასაც, რომელიც აპურა-მაზდას მეორე პირად ითვლებოდა. ამის გარდა თვით მაზდეანური მოძღვრების გავრცელებაც ქართველთა შორის მითრას გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც მაზდეანიაზმის მთელი მოძღვრება და მისი სიწმინდის დაცვა-გატარება უმთავრესად მითრაზე იყო დამყარებული.

წარმართულ საქართველოში მითრას რწმენის არსებობის შესახებ პირველად ნიკ. მარჩმა აღნიშნა და ქართული პანთეონის შვიდ ღვთაებათა შორის ზადენი მან მითრად აღიარა. ნ. მარჩი ამბობს: „ზადენი უეჭველად ავესტის „yazata“-ს, ან სპარსულ „yazdan“-ს წარმოადგენს, რომელიც კეთილ გენიას ნიშნავს, განსაკუთრებით მითრას და შემდეგ საზოგადოდ კეთილ ღვთაებას“-ო<sup>4</sup>. ამასთანავე ის ამბობს, რომ ქართულ მატრიანეში არმაზის შემდეგ მეორე ადგილას ზადენ-მითრას მოხსენიება სრულიად ეთანხმება მას, რომ მითრა მაზდეანურ მოძღვრებაში აპურა-მაზდას შემდეგ ერთი უმთავრესი ღვთაებათაგანია. ნ. მარჩის ეს მოსაზრება სრულიად ეთანხმება მითრას ჰიმნების შინაარსს, სადაც ის ხშირად იხსენიება „იაზატად“ ე. ი. კეთილ არსებად.

ამავე აზრისაა ო. ფონ-ვეზენდოკი თავის გამოკვლევაში „ქართული წარმართობის შესახებ“; ის სხვათა-შორის ამბობს: „ქართული ზადენი მითრას უნდა უდრიდეს, რადგანაც იბერიაში მიღებული იყო მზის ღვთაების თაყვანის-

<sup>1</sup> Е. Такайшвили, მოქცევაჲ ქართლისაჲ: Опис. рукоп. общ. распр. грам. т. II, გვ. 751.

<sup>2</sup> სომხეთის ისტორია მოსე ხორენელისა, გამოც. მ. აბელიანისა და ს. ჰარუთუნიანცის რედაქციით, ტფილისი 1913 წ. გვ. 233 (სომხ. ენაზე).

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, ექვ. თაყაიშვილის გამოცემა, ტფილისი 1916 წ. გვ. 73, 88, 117, 179; საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 213, 214; იაკობ ხუცესი, წამება წმიდისა ზუზანიკისი, ქუთაისი 1917 წ. გვ. 169—248; Н. Марр, Бог языческой Грузии (Зап. Вост. Отд. Рус. Арх. о-ва, том XIV, вып. II—III, СПб. 1902 г. გვ. 1—29); ივ. ჯავახიშვილი, ქარ. ერის ისტორია 1928 წ. გვ. 98—103, 261—265; O. von Wesendonk, Über georgisches Heidentum, Leipzig, 1924 წ. გვ. 84. ამასთანავე აპურა-მაზდა (არმაზი) თავისი ატრიბუტებით გამოსახული იყო ძველ ქართულ ფულეებზე (იხ. М. Баратаев, Нумизматич. Факты Груз. царства, СПб. 1844 წ. გვ. 17—28, ტაბ. I, II).

<sup>4</sup> Н. Марр, op. cit., გვ. 7.



ცემა, და ამიტომ არაფერი ეწინააღმდეგება იმას, რომ ჩვენ ეს დაგინახოთ ზადენში, რომელიც უნდა იყოს ირანულ მითრას შესატყვისი ღვთაებათა<sup>1</sup> ირანული მითრა-იაზატასის ჩვენში არსებობა უფრო სარწმუნო გახდება, თუ ჩვენ ქართველ ხალხში დაცული წარმართული ხასიათის სალოცავებსა და რიტუალურ წესებს მივმართავთ.

როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, აჭურა-მანდას განუწყვეტელი ბრძოლა ბოროტი ღვთაების არიანის დასათრგუნავად უმთავრესად დამყარებული იყო იმ კეთილ გენიებზე ან სულელებზე, რომლებსაც იაზატებს უწოდებდნენ. მათ შორის პირველობდა მითრა (სამყაროს გამგებელი და მებრძოლ ლაშქართა სარდალი) და ათარი (უხილავი წმინდა კეცხლი). ამ ორივე კეთილი გენიის კულტი ქართულ ხალხურ რწმენაში დღემდე იყო დაცული. მაგალითად, დიდმარხვის აღება ღამეს სამეგრელოში ასრულებდნენ სალოცავ „ჩინი ანთარს“<sup>2</sup> (ზეციერი ანთარი). ამ დღეს მეგრელები კერაზე აცხობდნენ ოთხკუთხედი ფორმის მოზრდილ ყველიან კვერს, რომელსაც ჯერ სუროს ფოთლებში შეახვევდნენ და შემდეგ ზედ ნალვერდალს დააყრიდნენ. ვახშმის წინ ოჯახის უფროსი მამაკაცი კერასთან მივიდოდა, ნამცხვარს ნაცარს და სუროს მოაცილიდა, კვერს ზედ კერაზე ოთხკუთხედ ნაჭრებად დასქრიდა და შემდეგ ვედრებას წარმოსთქვამდა:

ჩინი ანთარი, პარტენი გომორძგვილი!  
ჩემი ორინჯი სი ამიშინი!  
ოშოშო გგზაფტოფუნდე და მუთას  
მავკორდგვასგნი, უზაფუ დო  
ხიფილც ვაიშეზჩინენდე თეში.

ზეციერო ანთარო, ბატონო—გამარჯვებულო!  
ჩემი საქონელი შენ გაამრავლე!  
ასობით ვიჭერდე და არაფერი  
აკლდებოდეს, უშობელსა და  
ხბოიანს ვერ ვარჩევდე ისე.

ღვთაება ანთარი აფხაზეთშიაც ცნობილია „ათარს“-ის სახელით. აქაც ის ოჯახისა და შინაური პირუტყვის მფარველ ღვთაებად ითვლება. ათარს აფხაზები „ღმერთმანი“-ს მაგიერ ფიცულობდნენ თურმე. ამის გარდა, როდესაც მათში მეხნაკრავი პირუტყვი კვდებოდა, რასაც იქ დიდ ცოდვად სთვლიან, აფხაზები მაშინვე შეუდგებოდნენ ამ წმინდა პირუტყვის გასვენებას შემდეგი გალობით:

ვაა ტლარ!  
ათარ ეტლარ!  
ეტლარ ჩოფარ!  
ჩოფარ ეტლარ!<sup>3</sup>

ამ სიტყვების აზრი და მნიშვნელობა დღეს აფხაზებისათვის უკვე გაუგებარია, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ საგალობელში ისინი მიმართავენ ღვთაება ათარს.

<sup>1</sup> O. von Wesendonk, Über georgisches Heidentum. Leipzig, 1924, გვ. 84.

<sup>2</sup> И. Кобалия, Из мифической Колхиды: СМОМНК вып. XXXII, отд. III, გვ. 99—100.

<sup>3</sup> ნ. ჯანაშია, აფხაზები. „მომბე“ 1897 № 11, გვ. 70; პ. გიორგაძე: ეფელია 1883 წ. № 180; С. Званва, Абхазская мифология, Кавказ 1855 г. № 81; ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია წ. I, 1928 წ. გვ. 132—133; Н. Джанашия, Религиозн. верования Абхазов (Христианский Восток, том IV, Петерб. 1917 г. გვ. 77—80).

ეს აფხაზური „ათარ“ და მეგრული „ჟინი ანთარი“<sup>1</sup> არის ავესტაში მოხსენებული იაზატა (კეთილი სული) ādār-ātar-ათარი<sup>2</sup>, რომელიც ღვთაება იყო, და ის ავესტაში წოდებულია აპურა-მზდას შვილად. ათარი როგორც ცეცხლის ღვთაება ადამიანის ოჯახთან მეტად ახლოს იდგა, შეიძლება ითქვას, რომ ის ოჯახის კერაზე იჯდა და მის მფარველ ღვთაებად ითვლებოდა. ამიტომ მავრდენური ოჯახის უხუცესი წევრი ათარს მფარველობისათვის თხოვნით მიმართავდა და, თუ ოჯახი კერის ცეცხლის სიწმინდეს სათანადოდ ინახავდა და ათარსაც ზვარაჟს სწირავდა, მაშინ ათარი მას ასეთ კურთხევას უგზავნიდა: „გაგიმრავლდეს შენ საქონლის ჯოგები და შვილები... იყავ მთელს სიცოცხლეში მუდმივ სულიერ ღვინაში... და სხვა“.

აქედან უკვე ნათლად ირკვევა მეგრულ-აფხაზურ ანთარ-ათარის და ირანული ათარის ერთიდაიგივეობა, როგორც სახელწოდებით, ისევე მათთან დაკავშირებული რწმენითა და რიტუალობით. ათარის კულტის არსებობა კი თავისთავად ჰელენისტობის მითრას კულტის ჩვენში არსებობას: მითრას ციურ ეტლს ცეცხლოვანი ათარი ხომ მუდამ უკან მისდევდა.

რომ ეს ასე იყო, ამას მოწმობს დასავლეთ საქართველოში დაცული ერთი ფრიად საყურადღებო სალოცავი, რომელსაც მეგრელები „მირსობა“-ს, ან „მისრობა“-ს უწოდებენ, სვანები, „მეასარიბ“-ს და გურულები კი „მოსარობა“-ს.

მირსობას მეგრელები დიდ მარხვის დაწყებამდე იხდიან, ამ დღისათვის საგანგებოდ ასუქებენ ღორს, რომელსაც „ომირსე“ ეწოდება. მირსობადღეს, ხუთშაბათს (მეგრ. ცაშხა), ოჯახის უფროსი ამ ღორს კერის გარშემო რამდენჯერმე შემოატარებს შემდეგი ლოცვით:

ღლარი მირსობაში მოზოჯუა!  
მა დო ჩქიმი ჩილი დო სჭუას  
ბედი მეჩი, ბედნიერო დაარინე,  
ირი ალიანი დო ჩალიანი  
ქვარაყი, ირი უბაღო შარას,  
წყარც სი ქოთხილე, სქანი  
სახელი ხვამელი.

დღეს მირსობის მობრძანებავ!  
მე და ჩემე ცოლს და შვილს  
ბედი მიეცი, ბედნიერად ამყოფე,  
ყოველი ალიანი და ჩარლიანი (სივე)  
გაუქარვე, ყოველ ავი გზისაგან,  
წყლისაგან შენ დაიცავი, შენ  
სახელ დალოცილო<sup>3</sup>.

<sup>1</sup> И. Кишшидзе, Грамматика Мингрельского (Иверского) языка, СПб. 1914 წ. იხ. სიტყვა „ანთარი ჟინი“ გვ. 194—195.

<sup>2</sup> საყურადღებოა, რომ პროფ. კ. კეკელიძეს ეს ადარ-ატარი მიანიჭა ქართულმატიანეში მოხსენებული ღვთაება „ითრუჯანად“. იგი ამბობს: „რომ ითრუჯანი ან ითრუშანი ქართულს ნიადაგზე ფონეტიკურად საზე შეცვლილი ფალაური „ატრუშან“ „ატროშან“—ცეცხლი, უნდა იყოს“. ჩვენ ვგვონია, დასკვნის პროფ. კეკელიძე: „რომ ითრუშან-ითრუჯანი არსებითაც იგივე უნდა იყოს, რაც ირანული ატარ-ატრუშანი (ადარ-ატარი), რადგანაც ამას ამკლავებდა ჩვენს წყაროებში შენახული ცნობა მისი დამოკიდებულებისა არმზთან და ფონეტიკურადაც იქიდან უნდა მოდიოდეს“—ო. (იხ. პროფ. კ. კეკელიძე, ეტიოლოგიური ძეგლი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან „ითრუჯანი“ (კვ. მისი ეტიმოლოგიის გარკვევისა). ტფილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I საზოგადოებათმცენიერება, ტფილისი 1936 წელი, გვ. 123—127).

<sup>3</sup> J. Darmesteter, Op. cit., II Vol. Khorda Avesta-atash nyaysh, გვ. 705—706;  
З. А. Рагозина, Op. cit., გვ. 93.

<sup>4</sup> И. Кобалия, Op. cit., გვ. 98.

ლოცვის დასასრულს ღორს დაჰკლავენ. შემდეგ ოჯახის დიასახლისი ოჯახის თვითეული წევრისათვის ორ-ორ მრგვალ კვერს და კვერცხს ხარშავს, სადღესის წინ ოჯახის წევრები უფროსს-უმცროსობით კერასთან მდგარ ტაბაკთან მივლენ და სათითაოდ აიღებენ თავიანთ კვერებსა და კვერცხებს, თვალბუზე მიფარებენ, თან ატრიალებენ და შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამენ:

წმ. მირსა! ამუღლა ვხამულენქი  
ჩქიმი თოლიში სასიმთელათ  
კვერცხით დო ხვიანდით, უბადო  
თოლიში ჭუა, უბადო თოლიში  
ფაცუცუა შორიშა ქვგომირაყი  
ვოლას ჭანჯი მეფურიუნდას  
ჩქიმ თოლს ქააძირი, გოლას  
ჭიჭიკტია მეზოზუნდას, ღორონთი,  
ჩქიმ თოლს ქააძირი,  
ჩქიმ თოლიში ნაქიშინათი  
ჩქიმი გური გაახარი.

წმ. მირსა! დღეს ელოცულობ!  
ჩემი თვალის სიმრთელისათვის  
კვერცხით და კვერით, ავი  
თვალის ტკივილი, ავი თვალის  
დაწირბლვა შორს გამიქარვე.  
მთაზე ბუზი მიფრინავდეს  
ჩემს თვალს დაანახვე, მთაზე  
ჭიანჭველა მიცოცავდეს, ღმერთო  
ჩემს თვალს დაანახვე,  
ჩემი თვალის ნაქნართი  
ჩემი გული გაახარე!<sup>1</sup>

ამ სალოცავის დასასრულს კვერს და კვერცხს იქვე შესქამენ.

მაგრამ მირსობის ეს რიტუალი უფრო სრულად და კარგად დაცულია მთიან სამეგრელოში, ჩხოროწყუს რაიონის სამ სოფელში: გოდოვანში, გარახაში და ჯუმითში. მირსობა დღეს ამ სამ სოფელში იმართებოდა ხატობა, რომელსაც «ჯეგე ან ჯგეგე მისარონი» ეწოდებოდა.

სოფ. გოდოვანი კურხუს თემშია და აქ ერთ მაღალ გორაკზე აშენებულია პატარა ეკლესია, რომელსაც «ჯეგე-მისარონს» უწოდებენ.

დღეობა იმართება თებერვალში ორი კვირით წინ ყველიერამდის და სალოცავად წინად დიდძალი მხეწყარი მოდიოდა თურმე, განსაკუთრებით ის გვარები, რომელთა ფუძის ან გვარის (ჯინჯიში ხატი) ხატად იგი ითვლებოდა: ფიჩხაია, ბერულავა, ჩარგაზია, მიქია, გოგუა, ლაშხია, ნაჭყებია, აშორდია, ფონია, კვაშილა, ვაბედა, არაჰამია და სხ. ჩარგაზია და ნაჭყებიას გვარიდან ირჩევდნენ ნათეებს, რომლებიც ხალხს ამწყალობლებდნენ. მირსობა დღეს გოდოვანში ომირსე ღორს კერის გარშემო სამჯერ შემოატარებენ და ჯეგე მისარონს შესთხოვენ ოჯახის კეთილდღეობას, მაგრამ ომირსე ღორის ხორცის ჭამა დაღამებამდის არ შეიძლება, დილით კი მოხარშულ კვერებით და კვერცხებით თვალის საღობაზე ჩვეულებრივი წესით დაილოცებიან და შემდეგ ყველანი მიდიან ჯეგე მისარონის ეკლესიაში, სადაც წინათ ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალს, ლოცვა-ვედრებას, რომელსაც მოჰყვებოდა ცეკვა-თამაში, სიმღერა და სხვა ვართობანი. საღამოს მლოცავი სახლში ბრუნდებოდა, ოჯახის უფროსი ომირსე ღორით დაილოცებოდა, გაშლიდნენ სუფრას და ღორის ხორცს სჭამდნენ.

<sup>1</sup> ამოღებულია ჩემ მიერ 1935 წელს შეკრიბილი და ჯერ დაუბეჭდავი სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალებიდან.

ამ დღეს სალოცავად მოდიოდნენ გამოთხოვილი ქალები, რომელთა უმეტესობა ხატად ჯეგე-მისარონი ითვლებოდა და მათ თან მოჰქონდათ სანთელი-საწერი და დაკლული ღორები. მათ აქ გვარის ნათეები ამწყალობდნენ და შემდეგ შეილდში გამოატარებდნენ.

ვისაც შეთქმული ჰქონდა, იგი ჯეგე-მისარონს ღამეს უთევდა. აქ მოჰყავდათ სულით ავადმყოფნი და თვალით სნეულნი. და მათ მისარონის ხატის წინ დააწვეინდნენ „ხატიში ითონჯირათა“, ღამეს უთევდნენ და ჯეგე-მისარონს ევედრებოდნენ ავადმყოფის განკურნებას.

თვალის სნეულებს საწირში მოჰქონდათ ორი სანთელი, ორი კვერი, ორი კვერცი და თეთრი ფულები. ისინი მუხლმოყრით ეკლესიას სამჯერ შემოუვლიდნენ და ევედრებოდნენ ჯეგე-მისარონს თვალის საღობას.

ასეთივე ხატობა იციან სოფელ გარახაში, რომელიც მდებარეობს ჩხოროწყუს მახლობლად. თებერვალში მირსობა დღეს აქ გარახას წმ. გიორგის ეკლესიაში წინათ იმართებოდა ჯეგე მისარონის დიდი ხატობა. ამ ხატის ყმებია: მამუორია და უბირია და მირსობის ნათეებსაც ამგვარიდან ირჩევდნენ. აქ მოჰყავდათ თვალით სნეულები და სულით ავადმყოფნი და გარახის ჯეგე-მისარონს შესთხოვდნენ მათ განკურნებას. შეხვეწილები ხატს სწირავდნენ თვალის სანთლებს, რომლებიც წარმოადგენდნენ თვალის კაკლის ოდენა სანთლის რგოლებს. გარახიდან გათხოვილი ქალები მოდიოდნენ საწირით, მოჰქონდათ დაკლული ღორები და აქ ლოცულობდნენ, შემდეგ მათ ნათეები შეილდში გამოატარებდნენ.

გარახასა და ჩხოროწყუს მახლობლად მდებარეობს სოფ. ჯუშითი და მირსობას აქაც იცოდნენ ჯუშითის წმ. გიორგის ეკლესიაში დიდი ხატობა. ჯუშითის ჯეგე-მისარონი უბიერების საგვარეულო ხატია და ნათეებსაც ამ გვარიდან ირჩევდნენ. აქ მოჰყავთ თვალით სნეულები, სულით ავადმყოფები და ბნედიანები, რომლებსაც ალოცებენ ჯუშითის წმ. გიორგის—მირსას ხატს და შესთხოვენ მას შველას და განკურნებას. აქ მდგარა ხის ეკლესია, იგი ამ საში წლის წინათ დაუშლიათ. დარჩენილა ერთი დიდი ცაცხვის ხე და მირსობას დღეს ამ ხის ძირში ლოცულობენ. ჯუშითიდან გათხოვილი ქალები მირსობას სალოცავად აქ მოდიან, მოაქვთ საწირ-სანთელი და დაკლული ღორები, ნათეები მათ ამწყალობდნენ, შემდეგ შეილდს დააყენებენ, წინ ორ ხმალს მიწაში ჩაარქობენ, რომ ბოროტი და მავნე სული არ მიეკაროსო და ქალებს შეილდში ისე გამოატარებენ.

სოფ. ჭაქვინჯთან არის სოფ. ჯიხაშკარი, რომელიც ზუგდიდიდან დაშორებულია 7 კილომეტრით და აქ დღესაც დაცულია სამლოცველო ადგილი მისარონ-კარი. მას უჭირავს საკმაოდ მოზრდილი და გაშლილი ფართობი, რომელიც დაფარულია ცაცხვისა და მუხის ხეებით, შუა მოედანზე დგას ხის პატარა სამლოცველო და მას აქ ჯეგე-მისარონს უწოდებენ<sup>1</sup>. ნაიდგომევეს,

<sup>1</sup> გადმოცემით წინათ აქ მდგარა ჭკითკირის შენობა, რომელიც თათრებს დაუნგრევიათ, მისარონის ხატი თათრების შიშით მიწაში ჩაუფლავთ და დაკარგულა. მისარონის კარის ხის სამლოცველო ცარიელია, მხოლოდ მის კედლებზე შერჩენილია წმ. გიორგის ქალადის ხატები.

ახალკვირის სამშაბათს მისარონ-კარში იმართებოდა ხატობა, სადაც სალოცავად მიდიოდნენ: ზარანდიები, შენგელიები და ჩარგაზიები, რომელთა სავაჭარეულო ხატად „ჯინჯი ხატად“ იგი ითვლებოდა. ხატობა დღეს რივის მიხედვით ამ სავაჭარეულოდან ერთერთი ოჯახის უფროსი მისარონ კარზე მოიყვანდა კერატს, დაილოცებდა გვარის კეთილდღეობაზე, შემდეგ ღორს იქვე დაჰკლავდა და ხორცს მლოცავებს გაუნაწილებდა. ღორის თავს კი იგი გადაულოცავდა იმ მეკომურის უფროსს, რომელსაც რივით მეორე წელიწადს ჯეგე-მისარონისათვის კერატი უნდა დაეკლა.

ამ სავაჭარეულოდან გამოთხოვილ ქალებს ხატობა დღეს ჯეგე-მისარონში მოჰქონდათ საწირ-სანთელი, ღორის თავ-ფეხები, კვერცხები და სხვა.

ჯეგე-მისარონის სამლოცველო იყო აგრეთვე სოფ. გეჯეთში, რომელიც ნოქალაქევიდან სამი კილომეტრით არის დაშორებული. მისარონის ადგილი აქ დღესაც დაცულია, სადაც წინათ მდგარა ქვის პატარა შენობა, უკვე ნანგრევად ქცეული და ერთი დიდი ცაცხვის ხე, რომელიც 1927 წელს მოუჭრიათ. თებერვალში, მირსობა დღეს სალოცავად მიდიოდნენ გეგენაევი და ალასანიები და აქ ჯეგე-მისარონს შესთხოვდნენ: თვალის სისალეს, ყურის, თავის და წელის ტკივილისაგან განკურნებანს. ხატს წირავდნენ: მძივებს, ფულს, ნემსებს, ფერად ძაფს და სხვა.

ხალხურ გადმოცემით მისარონის სამლოცველოდან არაფრის წაღება არ შეიძლებოდა, დამნაშავეს მისარონი დააბრმავებდაო.

საყურადღებოა, რომ თვით ნოქალაქევის ძველი ციხის გალავანში დაცულია ეკლესია, რომელსაც ჯეგე-მისარონს უწოდებენ. ეს შენობა თლილი ქვით არის ნაგები და ეკუთვნის რომ-ბიზანტიის პოლიტიკურ-რელიგიური გავლენის პერიოდს ძველ ლაზიკაში, დაახლოებით IV—VI საუკ<sup>1</sup>. ამიტომ ადგილი შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ნოქალაქევი ამ ძველ არქეოპოლისში, რომელიც იყო ლაზების სამეფოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრი წარმართობის დროს აქ მართლაც არსებობდა მისარონის ან მითრას სამლოცველო, შემდეგ ჯეგე-მისარონად წოდებული.

ნოქალაქევის ჯეგე-მისარონს თავისი მამულიც ჰქონია, რომელიც პერტიას გვარს თურმე ებარა. ჯეგეს მამულზე ვაზი ყოფილა გაშენებული და პერტია ვალდებული იყო ამ ვაზის მოსავლიდან დაეყენებინა ღვინო და ხატობას იგი მიეტანა მისარონის კარზე, სადაც მლოცავებს უმასპინძლდებოდნენ. დღეობა სკოდნიით შემოდგომაზე და აქ სოფელი დაკლავდა საერთო ხარჯით ნაყიდ ერთ ძროხას. ყველას მოჰქონდა თითო კონა ღომის თავთაევი. მებატული ხალხს დააჩოქებდა და ჯეგე-მისარონს შესთხოვდა მფარველობას და თემის სახელით მას კარგი ჭირნახულისათვის მადლობას უცხადებდა და სხვა.

<sup>1</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტფ. 1936 წ. გვ. 318—320.



აქ ჯეგე-მისარონის სახელით იციან წყველა და დალოცვა. მაგალითად იტყვიან: „გაგიწყურეს ჯეგე-მისარონიო“ ან „ჯეგე-მისარონმა დაგლოცოს“ და სხვა<sup>1</sup>.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სამეგრელოში, თუ ვინმეს რაიმე უბედურება ეწვია, ან ცეცხლისაგან ზიანი მოუხდა, ამას ძირსას განრისხებით ხსნიან და მიზეზის გასაგებად მკითხავთან გარბიან.

მირსობას სვანებშიც იხდიან, რომლებიც თავიანთ „მესარიბს“ დიდი ზემოთ ეგებებიან. მესარიობა სვანეთში თითქმის ორი კვირა გრძელდება და ყველიერის ორშაბათს თავდება. მესარიობის პარასკევს ოჯახის უფროსი ამ დღისათვის საგანგებოთ გასუქებულ ღორს ან ხარს ჰკლავს სულ ერთია რომელი მათგანი იქნება, მხოლოდ ხარი ძვირია და ძნელი გასამეტიც, ამიტომ მესარიობას ჩვეულებრივ ღორსა ჰკლამენ, რომლის ხორცის ჰამა დალოცვამდე აკრძალულია. შემდეგ ოჯახის თვითთული წვერისათვის თვალის კაკალის ზომის და ფორმის თვალის კვერებს აცხობენ. მეორე დღეს შაბათს ოჯახის უფროსი სამესარიობო ღორს და კვერებს თაბახზე დაალაგებს და შემდეგ ღორს ვას წარმოსთქვამს:

ბატ მესარაშ, სი ლღვეშდ  
ი ლღმევერ, თრალე მახივ  
ოკჰაბენ, მარემი ნაშდობოშ  
ოგხიდ, კუმაშ ოფიშირ

ბატო მისარისაო, შენ შეგვეწიე  
და მოგვეხმარე, თვალეზის ჰირი  
მოგვაშორე, კაცების მშვიდობით  
გაგვახარე, საქონელი გაგვიმრავლე და სხვა.

ხალხის რწმენით, ვინც ამას არ შეასრულებს მას თვალები ასტკივდებაო. მესარიობა სვანეთში დიდ დღესასწაულად ითვლება და მას წმინდათ ინახავენ. მესარიობის მომდევნო პარასკევს დაჰკლავენ სამესარიობა გოქს, რომელსაც შამფურზე შესწვამენ, მისი მოხარშვა არ შეიძლება. შემდეგ დაილოცებიან ჯვარის პარასკევზე (კარგი პარასკევი). მესარიობის კვირა სააღაპო კვირაა და დროს ატარებენ სიმღერა-თამაშით, ცეკვავენ ფერხულს, მოხუცები საუბრობენ და სხვა. მესარიობა ყველაზე სასიხარულო დღესასწაულად ითვლება სვანეთში და ამისათვის ყველანი ემზადებიან და სცდილობენ თავიანთი სურვილები დაიკმაყოფილონ. ძველად მესარიობის აღაპისათვის ღვინო აუცილებლად უნდა ჰქონოდათ, თუ არა და რანგი მიინც ეშოვნათ. ვისაც ეს სასმელი არ ჰქონდა იგი სესხულობდა და სესხში აძლევდა პურს ან სიმინდს. მესარიობის დასასრულს, კვირა საღამოს ოჯახები ერთად შეიკრიბებიან, მიაქვთ თავიანთი

<sup>1</sup> ეს მასალები ადგილებზე შეკრებილია ჩემ მიერ 1936—37 წ. წ., როდესაც ჯეგე-მისარონის კულტის შესწავლის მიზნით მე მოვიარე სამეგრელოს ყველა რაიონები.

ჯეგე-მისარონის ეკლესიები ანტირელიგიური მოძრაობის დროს დაუნგრევიათ, დარჩენილია მხოლოდ სოფ. გოდოვანში და ისიც ნახევრად დაშლილია. რაც შეეხება ჯეგე-მისარონის ბატს, რომელსაც ხალხი თაყვანს სცემდა, აქ უკვე აღარ მოიპოვება და არც იციან თუ რა უფი ეწია მას. ძველი ნათებებისა და მოხუცების გამოკითხვიდან გამოირკვა, რომ გოდოვანის ჯეგე-მისარონის ბატზე გამოსახული ყოფილა შუბითა და ფართი შეიარაღებული მამაკაცის თელი ფიგურა (წმ. გიორგი) ბუტური წარწერით. გარანისა და ჯუშითის ჯეგე-მისარონის ბატზე-ეი გამოსახული ყოფილა გველეშაპის გამგირავი მზედარი (წმ. გიორგის ჩვეულებრივი გამოსახულების ბატი).



სურსათი, გაშლიან საერთო სუფრას და ღროს მზიარულად ატარებენ ვათენე-ბამდის. რაც მესარიობის ტაბლაზე დარჩება, ყველაფერს გაინაწილებენ<sup>1</sup>.

მესარიობის მომდევნო შაბათს ზემო სვანეთში ასრულებენ „ლილუმესარ“-ის რიტუალს. აცხოვენ კვერებს და „დარეცხან დედემ“-ს (ციხას) ევედრებიან შინაურ პირუტყვის მფარველობას.

ამ სალოცავს გურიაშიაც იხდიან და მას „მოისარიობა“-ს უწოდებენ. მოისარიობას ოჯახის უფროსი პატარა ცომს მოზელავს, შემდეგ მას ორ პატარა გუნდას მოსწყვეტს და ოჯახის წევრებს საითთაოდ გამოუძახებს. ოჯახის უფროსი ამ ცომის გუნდას თვითნებულ მათგანს ორივე თვალის გარშემო შემოუტრიალებს და თან მოისარს შესთხოვს მათი თვალის საღობას და შემდეგ შენალოცვ გუნდას სუფთა წყალში ჩაადგებს. დასასრულ, ცომის გუნდიან წყალს ოჯახის დიასახლისი აიღებს და სადმე სუფთა წყალში ან მდინარეში ჩაყრის<sup>2</sup>.

თუ ჩვენ ახლა მეგრულ-სვანურ-გურულ მირსობას ღვთაება მირსას რწმენას და მის რიტუალს შევიდარებთ, მათ შორის ბევრ საგულისხმო მსგავსებას აღმოვაჩენთ. გარდა სახელწოდების მხრივ მსგავსებისა (ავესტას Miŋra 2), მეგრ. „მირსა“, სვან. „მესარიობა“, გურ. „მოსარიობა“) ირანული მითრას და ქართულ შესატყვის რწმენას რამდენი შინაგანი მომენტიც აახლოვებს ერთმანეთს.

როგორც უკვე ავღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოს მირსობა საზოგადოთ თვალის სალოცავია, რომელიც მუდამ სინათლის ემბლემა იყო. მირსობას მსხვერპლად ღორს სწირავენ. ხმარობენ მოხარშულ რგვალ კვერებს, კვერცხებს და სუფთა წყალს. მირსობას თებერვალში იხდიან, სამეგრელოში ხუთშაბათს დღეს.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ მირსასავით ღვთაება მითრაც აპურა-მაზდას თვალათ იწოდებოდა და მითრას ემბლემად თვალების გამოხატულება იყო მიღებული. ძველ სომხეთში მზე და მთვარე მითრას თვალად იწოდებოდა<sup>3</sup>.

კვერცხი, როგორც სიცოცხლის სიმბოლო, მითრას მიმდევართა შორის ამ ღვთაების სიმბოლოთ იყო აღიარებული. ამის შესახებ „ვედაში“ ნათქვამია, რომ მითრა მზე თვალი ღვთაებისა, კვერცხისაგან შობილი დიდათ ემბარება „სევიტრებს“ (კეთილ სულებს) ბოროტების დათრგუნვაში.

მაგრამ მირსობის რიტუალში ფრიად საყურადღებო მოვლენას ღორის მსხვერპლად შეწირვა წარმოადგენს. გარეული ტახი იეშთსადეში პატივისცემითაა მოხსენებული, როგორც მითრას ცხოველი და იმის შესახებ იქ ნათქვამია: ამ სასარგებლო ცხოველის მოდგმა მეორედ მკვდრეთით აღდგომამდე უნდა

<sup>1</sup> Арсен Ониани, Сван-тексты на Лашхском наречии. Мат. по Яфет. Языкозн., IX, Петроград 1917 г. стр. 18.

<sup>2</sup> გამოითქმოდა დაახლოვებით „მირსა“-დ; იხ. В. Миллер სიტყვა Мифра: Энцикл. сл. Брок. Ефрон, წ. 38.

<sup>3</sup> З. А. Рагозина, Op. cit. გვ. 48; Н. О. Эмин, Op. cit. გვ. 26—28. Бетг. ни и Дуглас, Op. cit. გვ. 25, 276.



გავრძელებს<sup>1</sup>—ო<sup>1</sup>. ამის გარდა, ვესტის ერთს მუხლში ნათქვამია, რომ, როდესაც მითრა ბნელი ძალების დასათრგუნავათ ეტლით გამოდის, მათ წინ მიუძღვრება ღვთის „ვერეთრავანა“ (გამარჯვება) და „ბრძენთა ფიცი“, რომლებიც გასრულდნენ ღორის სახით არიან წარმოდგენილი და თავიანთი მახვილი ეშვებით ბოროტ სულებს ჰმუსრავენ. ღორის დაკავშირებას მითრას კულტთან აგრეთვე მოწმობენ ტრანსილვანიაში, მარსელში, ტიროლსა და მანჩაჰში აღმოჩენილი მითრას ბარელიეფები, სადაც სხვა ცხოველებთან ერთად მითრას გვერდით ღორიცაა გამოხატული<sup>2</sup>.

ამ მხრივ ქართული მირსობა საყურადღებო მასალას შეიცავს მითრაიზმის ისტორიის შესასწავლად. ის თავისი რიტუალობით და ომირსე ღორით აშკარად გვირკვევს მითრას ბარიელეფებზე გამოხატული ღორის დანიშნულებას. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმართულ საქართველოში ღორი წმ. მუხასთან დაკავშირებით ტოტემით ითვლებოდა და ის მზის ღვთაებისადმი იყო შეწირული<sup>3</sup>. მირთაც ხომ მზისა და სინათლის ღვთაება იყო, რომლის წმინდა ცხოველთა შორის ღორის ტოტემსაც საპატიო ადგილი ეჭირა. ამიტომ, როგორც მირსობის რიტუალის შესწავლიდან ირკვევა, ჩვენს წარმართ წინაპრებს მახდებანურ რწმენის შეთვისებისას, ღორის არსებული კულტი მირსასთან დაუქვეშირებით, რაც სრულიად ეთანხმებოდა მითრაიზმის მოძღვრებას.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში მირსობას თებერვალში იხდიან, როგორც ეს აღმოსავლეთის ქვეყნებში იყო მიღებული, მაგრამ საგულისხმოა ის გარემოება, რომ ძველ ქართულ წარმართულ კალენდარში თებერვალს ეწოდება „თთუჲ“ მიპრაკნისაჲ (ანუ „მიპრაკანი“) ე. ი. მიპრას ანუ მირსას თვე. პავლე ინგოროყვას გამოკვლევით მიპრაკანის თვის დასაწყისი ყოფილა 19 თებერვალი და დასასრული კი 20 მარტი<sup>4</sup>. პავლე ინგოროყვას აზრით კი: „სახელწოდება მიპრაკანი“, არსებული სახით, ცხადია ქართულს შეთვისებული აქვს ირანულიდან; ირანულში ჩვენ გვაქვს ამ თვის სახელწოდების შემდეგი ფორმები: Mihrakan, Mihrakān (ფალაური). Mihrgān (ახ.-სპარსული); ქართულში, როგორც ვხედავთ, უცვლელად გადმოღებულია ამ ტერმინის ფაჰლაური ფორმა: mihrakān. მიპრაკანი ნიშნავს ღვთაება მითრას (მიპრ-ის) თვეს<sup>5</sup>. ავტორი ამის შემდეგ სვამს კითხვას: იცნობდა თუ არა კერძოდ ქართველური მსოფლიო მითრას კულტს არქაულ ეპოქაში? ამავე პ. ინგოროყვა იძლევა ასეთ ზოგად განმარტებას: „ირანული მითრაიზმი რომ საქართველოში გავრცელებით სარგებლობდა, ეს უეჭველია. ჩვენი


<sup>1</sup> Joseph de Hammer, Mithriaca au Les Mithria, vol I, Paris, 1883, pp. 40.

<sup>2</sup> J. Hammer, Op. cit, vol. II, Atlas, planches III, V; F. Cumont, Op. cit, t. II, Fig. 115, 218.

<sup>3</sup> სერგი მაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, ტფილისი, 1927 წ. გვ. 39—50.

<sup>4</sup> პავლე ინგოროყვა, ძველ-ქართული წარმართული კალენდარი, საქართველოს მეზემის მოამბე, ტომი მე-6, ტფილისი 1931 წ. გვ. 488.

<sup>5</sup> მისივე Op. cit. ტ. 7, ტფილისი, 1933 წ. გვ. 332.





წელთაღრიცხვის დასაწყისის უახლოეს საუკუნოებში ირანული მითრიაზმი ფართოდ გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ მცირე აზიაში და სარმენდუშაკ, ბუნებრივია, რომ მას საქართველოშიაც უნდა მიეღო გავრცელება. და მართლაც, მითრას კულტის ირანული სახეობა რომ არსებობდა ამას, სხვათა შორის აღსატყობებენ ირანული მითრიაზმის თეოფორული სახელები: მიპრ-დატ, მიპრ, მიპრან და სხვანი, რომლებიც მიღებული იყო კლასიკურ იმერიაში, ცხადია ამ დროსვე, ირანულ მითრიაზმთან ერთად ჩვენში დამკვიდრებულა ირანული თვის ეს სახელიც „მიპრაკანი“-მითრას, მიპრ-ის თევ“-ო (იხ. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტომი 7, გვ. 333).

ამგვარად ქართული ძველ-წარმართული კალენდრის შესწავლამ 1933 წ. სავსებით დაადასტურა ჩემ მიერ ჯერ კიდევ 1924 წელს საჯარო მოხსენებაში გამოთქმული და 1927 წელს დაბეჭდილი მოსაზრება<sup>1</sup>, რომ წარმართულ საქართველოში არსებობდა მითრას კულტი და თებერვალი უნდა ყოფილიყო მისი საღმრთალო თევ<sup>2</sup>.

მეგრელები მირსობას ხუთშაბათობით იხდიან, რომელსაც „ცააშხა“ (ცის დღე) ეწოდებოდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ხუთშაბათი ჩვენში მიკეთვნილი ყოფილიყო მითრასადმი, რომელიც ბრწყინვალე ზეცის მეფეთ ითვლებოდა და მზის, მთვარისა და ვარსკვლავების დახმარებით ბნელ ძალებს გამუდმებით ებრძოდა<sup>3</sup>.

ამის გარდა, მითრას კულტის არსებობას საქართველოში ისიც მოწმობს, რომ თვით ქართველი მეფეებიც კი მის სახელწოდებას ატარებენ, მაგალითად, მიპრდატი ფარსმან მეფის შვილი, მიპრანი ანუ მირიანი, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე, მიპრანი ქართლის პიტიახში და სხვა.

მითრას, როგორც მეომართა ღვთაება და მძლეობის სიმბოლო, მეტად მიმზიდველი უნდა ყოფილიყო ქართული მხედრობისათვის. ამას მოწმობს ქართული ხალხური ეპოსი, რომელშიაც წითელი ზოლივით გატარებულია კეთილ და ბოროტ ძალებს შორის დაუსრულებელი ბრძოლები დევ-გმირთა სახით.

ამგვარი ეპიური ხასიათის შემოქმედების ნიმუშს, სხვათა შორის, წარმოადგენს ქართული უძველესი სარწმუნოებრივი თქმულება ამირანზე. პროფ. ივ. ჯავახიშვილმა ამირანის სახელწოდების შესახებ სამართლიანად აღნიშნა: „რომ სომხურ ხალხურ თქმულებაში, რომელიც ქართული ამირანის თქმულების შესატყვისია, გმირს „მპერი“ ჰქვია. ამიტომ შესაძლებელია ქართულ თქმულებაში თავდაპირველადაც გმირის სახელს ბგერა „პაე“-ცა ჰქონდა და იქნებ

<sup>1</sup> სერგი მკალათია, ღვთაება მითრას კულტი საქართველოში. საქარ. მუზეუმის მოამბე, ტ. 3, ტფილისი 1927 წ. გვ. 190.

<sup>2</sup> სამწუხაროდ პ. ინგოროცვამ მიუხედავად იმისა, რომ მას ხელთ ჰქონდა ჩემი გამოკვლევა მითრას კულტის შესახებ საქართველოში, მან არც კი აღნიშნა ეს თავის შრომაში. ამით პატივცემულმა მკვლევარმა დაარღვია მეცნიერული კვლევისა და ავტორობის გთიკა.

<sup>3</sup> З. А. Рагозина, Op. cit. გვ. 82.

„ამიპრან“-ად გამოითქმებოდა, რაც თავის მხრივ „მიპრანს“-ს, „ამითრან“-ს, „მითრას“-ს უდრის“-ო<sup>1</sup>.

მაგრამ ქართული ამირანი შეიძლება არა მარტო სახელწოდებით, არამედ თავისი შინაარსით და საგმირო თავადასავალით. და, თუ ჩვენ ამირანზე თქმულებას და შაჰ-ნამეს ქართულ ვერსიებს შევადარებთ, ავესტის ტექსტების შინაარსს და მითრას შესახებ არსებულ მითებს, მათ შორის ამ მხრივ მსგავსებას აღმოვაჩინო.

ირანულსა და ქართული მითების ამგვარი მსგავსება, ჩვენის აზრით უნდა აიხსნებოდეს ერთისა და იმავე ღვთაების კულტის არსებობით. ეს ღვთაება მითრა იყო, რომელმაც უძველესი ქართულ სარწმუნოებრივი განცდებისა და რიტუალის ნიადაგზე მიიღო ადგილობრივი ღვთაების მირსას განსახიერება: მას, როგორც სინათლისა და კეთილისათვის მებრძოლ ღვთაებას, ქართული რელიგიური ფანტასტიკა უქმნიდა შესაფერის მითს, რომელმაც საგმირო თქმულებებისა და ზღაპრების სახით ჩვენამდე მოაღწია.

ერთი სიტყვით აქ მოყვანილი რიტუალური წესები და ისტორიული ფაქტები ნათლად მოწმობენ, რომ წარმართულ საქართველოში არსებობდა ღვთაება მირსას ან მითრას კულტი, რომელსაც ხალხი თაყვანსა სცემდა.

მაგრამ მირსას არსებობის საკითხი არ შეიძლება მხოლოდ ამით ამოიწუროს. ჩვენთვის ახლა საინტერესოა, იმის გამოკვლევაც, თუ რა ცვალებადობა განიცადა მირსამ ქრისტიანობის პერიოდში და რომელ ქრისტიანულ წმინდანში ჰპოვა მან თავისი ღვთაებრივობის ნაწილობრივი განსახიერება. ამ მხრივ ჩვენ არ დაგვიჭირდება სხვადასხვა ჰიპოთეზებისა და მოსაზრებების წამოყენება. ამაზე გარკვევით მიგვითითებს ხალხში დღემდის დაცული სახელწოდება: ჯეგე—ან ჯგგირაგ—მის არონი, რაიც ნიშნავს წმინდანს, იმავე დროს გიორგის და მირსას (მითრას).

ჯეგე, ჯგგე, ჯგეჰე, გეგე ნიშნავს წმ. გიორგის ან ჯეგე გიორგის, ჯეგე წმ. გიორგი<sup>2</sup>. სვანური „ჯგგრაგ“-იც ნიშნავს წმ. გიორგის<sup>3</sup>. ამგვარად ხალხურ შემეცნებაში ჯეგე-მისარონის სახით წარმოდგენილია წმ. გიორგი-მირსა, ე. ი. წარმართული მირსა თავისი ღვთაებრივი სახით გაიგივებულია ქრისტიანულ გიორგისთან. მაგრამ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ჯეგე-მისარონში მოცემულია წარმართული რწმენის უფრო ძველი ფენა, რომელიც დიდის გონებამახვილობით გაარკვია აკად. ნ. მარტოშვილი. მისი აზრით, მეგრული ჯეგე, ჯგგე, და სვანური ჯგგრაგ თავდაპირველად ნიშნავდა მუხას,

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია წ. 1, ტფილისი 1928 წ. გვ. 148; პროფ. ლეონ შელიქსეთ-ბეგო, არტავანდისა და მჭერის კვალი საქართველოში (სომხურ ენაზე) იხ. ენზიაწინის სამეცნიერო ინსტიტუტის მოამბე, წ. 1 და 2, ენზიაწინი, 1921—1922, გვ. 93—104.

<sup>2</sup> И. Кипшидзе, Грамматика Мингрельского (Иверского) языка. გვ. 412.

<sup>3</sup> Н. Я. Марр, О религиозных верованиях Абхазов, Христ. Вост. т. IV, вып. I, გვ. 135—140.



მუხის ტყეს<sup>1</sup>, რომელსაც ჩვენში წარმართობის დროს თაყვანსა სცემდნენ<sup>2</sup>. შემდეგ მუხის რწმენა წმ. გიორგის დაუკავშირდა. საყურადღებოა, რომ მუხის ხეებსურები წმ. გიორგის თავიანთ ლოცვებში ხშირად „მუხის ანგელოზად“ იხსენიებენ.

ხეთა მსახურება წარმართულ საქართველოში გავრცელებული იყო, განსაკუთრებით თაყვანსა სცემდნენ მუხას, რომელიც ითვლებოდა მხის ღვთაების სადგომად და მორწმუნეთა თვალში იგი წარმოადგენდა ერთგვარ ფეტიშს. მუხის ნაყოფის რკოთი იკვებებოდნენ ღორები და ეს ცხოველიც მუხის ღვთაებისადმი იყო შეწირული<sup>3</sup>.

მუხის (ჯეგე, ჯგვრაგ) ეს პრიმიტიული რწმენა საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების შემდეგ სტადიაში შესცვალა ანტროპომორფულმა ღვთაებამ, საქართველოს სინამდვილეში კი მახდენურ რწმენასთან დაკავშირებით მას უნდა მიეღო ზადენ-იაზატა-მირსას განსახიერება და ეწოდა ჯეგე-მისარონი (მუხა-მირსა). მუხის ღვთაების წმინდა ცხოველიც დაუკავშირდა მირსას კულტს და ამგვარად მუხის მხის ღვთაება მორწმუნეთა შემეცნებაში შესცვალა სინათლის ღვთაებამ ჯეგე-მისარონმა (მუხა-მირსა-იაზატა-ზადენი)<sup>4</sup>.

მაგრამ ჯეგე-მისარონის ტრანსფორმაციის პროცესი აქ არ შეჩერებულა. ქრისტიანობის სახით ჩვენში ვრცელდება ახალი სარწმუნოებრივი მოძღვრება, იწყება წარმართ ღვთაებათა „გაქრისტიანება“ და ჯეგე-მისარონიც გაქრისტიანებულ საქართველოს სინამდვილეში იღებს წმ. გიორგი (ჯეგე) = მირსას განსახიერებას. ამგვარად ჯეგე-მისარონის ქვეშ ჩვენ გვაქვს: მუხა = მირსა < იაზატა-ზადენი > = წმ. გიორგი. და ამაში მოცემულია ქართული რელიგიური შემეცნების განვითარების სამი პერიოდი: ხეთამსახურება, მახდენობა და ქრისტიანობა.

ფრიად საყურადღებოა, რომ ამ ჯეგე-მისარონმა თავისი სახელწოდებით და კულტით დღემდის მოაღწია. და ჩვენ საშუალება გვძლევს გავვრკვიოთ მისი ჯერ კიდევ ცოცხალ რიტუალურ წესებში.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯეგე-წმ. გიორგი-მირსას გაიგივება მარტო სახელწოდებით არ ამოიწურება. სოფელ ჯუშითის, გარაბის და ვოდო-განის ეკლესიები ცნობილია წმ. გიორგის სახელით, მაგრამ მას ლოცულობენ მირსაბით. ამავე ეკლესიებში ესენა წმ. გიორგის ხატი, რომელსაც ჯეგე-მისარონს უწოდებდნენ და მას ევედრებოდნენ მირსას სახელით.

<sup>1</sup> H. Я. Масс. Op. cit., გვ. 140.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, Op. cit. წ. I, ტფილისი 1928 წ. გვ. 87—89.

<sup>3</sup> სერგი მაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, ტფილისი, 1927 წ. გვ. 41—44.

<sup>4</sup> ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სოფ. ხუნწიში ერთ გორაკს, რომელიც მუხით არი შემოსილი დღესაც „მჭერი“ (მიჭრა-მირსა) ეწოდება. (იხ. პროფ. ლ. ე. თ. მედიკსკოვ-ბეგოვ არტავაზისა და მჭერის ვალი საქართველოში, გვ. 96). ეს ადგილი მარტვილიდან (ბელკონდიდი) სამი კილომეტრით არის დაშორებული. ჰყონდიდი კი წარმართობის დროს ცნობილი იყო თავისი დიდი მუხით, რომელსაც ხალხი თაყვანსა სცემდა.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ სენათში მისარობას ღირსება უღვალის წმ. გიორგის სწირავენ (ეცერის სახ.) და მას მირსასავე თხოვენ კარგად ყოფნას.

ერთი სიტყვით ჯგეგ-მისარონის ხალხური რწმენისა და რიტუალის შესწავლა აშკარათ მიგვიჩვენებს, რომ ქართული წმ. გიორგის წინამორბედი ღვთაება მირსა უნდა ყოფილიყო. ამიტომ საჭიროა იმის შემოწმება და შედარების საშუალებით გამოჩვენება, თუ რა შინაგანი მომენტები აკავშირებენ წარმართულ მითრასა და წმ. გიორგის ქართულ რწმენას.

წმ. გიორგის კულტი საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და მას ჩვენი ხალხის რწმენაში უპირველესი ადგილი ეკირა. მაგრამ ამავე დროს წმ. გიორგი მსოფლიო წმინდანია, რომლის თაყვანისცემა გავრცელებულია ყველა საქრისტიანო ქვეყნებში. ამიტომ მისი წარმოშობის საკითხის გარკვევა მეცნიერებაში მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა. რასაკვირველია არც ერთ სერიოზულ და ჰერმეტიკ მეცნიერს იჭვიც არ დაბადებია წმ. გიორგის წარმართული წარმოშობის შესახებ, მხოლოდ მუდამ კამათს იწვევდა საკითხი, იმის შესახებ, თუ რომელი წარმართი ღვთაება უნდა ყოფილიყო იმისი წინამორბედი.

წმ. გიორგის თავისი გენეტიური წარმოშობით მეცნიერები უკავშირებენ სხვადასხვა წარმართ ღვთაებებს: თამუხს<sup>1</sup>, ჰორუსს<sup>2</sup>, პერსეის<sup>3</sup>, და სხვა.

მაგრამ მათ შორის ყველაზე ძლიერი და მეცნიერულად დასაბუთებული ჰიპოთეზა ა. გუტშმიდმა წამოაყენა, რომელმაც წმ. გიორგი შეადარა ღვთაება მითრას და აღნიშნა, რომ წმ. გიორგი არის გაქრისტიანებული მითრა<sup>4</sup>. გუტშმიდის ამ ჰიპოთეზამ მეცნიერთა შორის კამათი გამოიწვია<sup>5</sup>, მაგრამ გუტშმიდის ჰიპოთეზა დღემდის ძლიერია და მეცნიერულ მნიშვნელობას არ არის მოკლებული. თავის ჰიპოთეზის დასამტკიცებლად გუტშმიდმა ფართოდ გამოიყენა საქრისტიანო ქვეყნებში დაცული წმ. გიორგის თაყვანისცემის წესები და წერილობითი ძეგლები, მაგრამ იგი სამწუხაროდ არ იყო გაცნობილი საქართველოში დაცული წმ. გიორგის რიტუალის წესებთან, რომელსაც შეეძლო მისი ჰიპოთეზისათვის უდიდესი სამსახური გაეწია.

<sup>1</sup> Baring-Gould, Curious Myths of the Middle Ages, London, Oxford and Cambridge 1877 (Nem edition 1881) S. 266—316 S. George.

<sup>2</sup> Clermont-Ganneau, Horus et saint Georges d'après un bas-relief inédit du Louvre, Revue archéologique N. 5. 32 (1876) 196—204, 372—399; მისივე, Le mythe d'Horus et de St.—Georgie, nouveau document iconologique, Etudes d'archéologie orientale I, 1880, S. 78—82.

<sup>3</sup> N. P. Πολιτης, Νεοελληνική μυθολογία. Περσὲς καὶ ἄγιος Γεώργιος. Εἰρ. Ἀσωνίου, Ἀτικὸν ἡμερολόγιον (1872) 174—193.

<sup>4</sup> A. V. Gutschmid, Über die Sage vom H. Georg, als Beitrag zur iranischen Mythengeschichte, Berichte über die Verhandlungen der Kgl. Sächs. gesellschaft der Wissenschaften 13 (1861) 175—202. Wiederholt in A. V. Gutschmids Kleinen Schriften 3 (1892) 173—204.

<sup>5</sup> K. Krumbacher, Der heilige Georg in der griechischen Überlieferung, München 1911, ss. 303—304 (Mythologische Deutung der Georgslegende: Georg-Mithra).

მართალია წმ. გიორგის წარმოშობის შესახებ ჩვენშიაც არა ერთი ჰიპოთეზა იყო წამოყენებული, მაგრამ წმ. გიორგის მითრასთან დაპირისპირების ცდა არ ყოფილა. ა. ვესელოვსკი მას მიზღვანურ რწმენასთან დაკავშირებით ირანულ ღვთაებად სთვლიდა<sup>1</sup>. ა. ხახანაშვილი წმ. გიორგის ღვთაება მარსს ადარებდა<sup>2</sup>. მხოლოდ უკანასკნელად თავის ვრცელ გამოკვლევაში პროფ. ივ. ჯავახიშვილმა ქართული თეთრი გიორგი მთვარის ღვთაებად აღიარა<sup>3</sup>.

ჩვენ აქ არ შეუდგებით ამ ჰიპოთეზების კრიტიკულ განხილვას წმ. გიორგის წარმოშობის შესახებ. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. ივ. ჯავახიშვილის ჰიპოთეზა ქართული წმ. გიორგის მთვარის ღვთაებად მიჩნევისა სრულიად არ ეწინააღმდეგება ჩვენს მოსაზრებებს წმ. გიორგის მითრასთან დაპირისპირების საკითხში. პირიქით ჩვენ ვიცით, რომ მითრას კულტს საზოგადოდ ახასიათებდა ასტრალურ ღვთაებათა, განსაკუთრებით მზისა და მთვარის, თაყვანისცემა და მითრას ბარელიეფებზე მუდამ მზე და მთვარეა გამოსახული (Fr. Cumont, Op. cit. Fig. №№ 123, 168, 357, 424 და სხვა).

ამასთანავე მცირე აზიის იმ ქვეყნებში, სადაც მთვარის კულტი ძლიერი იყო, მითრა იქ წარმოდგენილია მთვარის სახით და მას, როგორც მთვარის ღვთაებას, თაყვანსა ცემდნენ. მაგალითად, პონტოში მითრა გამოსახული იყო მენის (მთვარის ღვთაება) სახით (იხ. Н. А. Кун., გვ. 126). ძველ სომხეთშიც მითრას ერთერთი ხილული განსახიერება მთვარე იყო (იხ. Н. А. Эмин., გვ. 26—28).

ერთი სიტყვით, მითრას რწმენაში მთვარის კულტი დიდ როლს თამაშობდა და წარმართულ საქართველოში არსებული მთვარის თაყვანისცემაც, რასაკვირველია თავის განსახიერებას ჰპოვებდა მიზღვანურ მოძღვრებასა და მითრას კულტში, რომელიც შემდეგ წმ. გიორგიმ შესცვალა. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ქართულ წმ. გიორგის რიტუალში გადანაშთის სახით მართლაც მოცემულია მთვარის თაყვანისცემის საყურადღებო მომენტები, რაც ასე საფუძვლიანად გაარკვია პროფ. ივ. ჯავახიშვილმა.

ჩვენი მიზანია მირსასა (მითრა) და წმ. გიორგის დაპირისპირებით გავარკვიოთ მათ შორის არსებული გენეტიკური კავშირი.

მაგრამ, სანამ ამის განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროა მოკლეთ შევეხოთ მითრას კულტის გავრცელების ისტორიას დასავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით რომის იმპერიაში, რომელთანაც ძველ იბერია-კოლხეთს მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიური და სარწმუნოებრივი ურთიერთობა ჰქონდა.

მითრას კულტი რომში პირველად რესპუბლიკის ხანაში გაჩნდა. მისი კულტი მცირე აზიიდან პომპეუსის მხედრობამ შემოიტანა და სწრაფად გავრცელდა მთელ რომის იმპერიაში. მითრა, როგორც მძლეობის ღვთაება, მე-

<sup>1</sup> А. Н. Веселовский, Разыск. в области рус. дух. стихов „Св. Георгий в легенде, песне и обряде“ (Прил. к. XXVII тому ЗИАН. № 3, 1880 г. გვ. 67—70.

<sup>2</sup> А. Хаханов, Грузинский извод сказ. о св. Георгии, Москва 1892 г.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, ტფილისი 1928 წელი გვ. 45.

ტად იზიდავდა მილიტარიზმით გაჟღენთილ რომაელთა მხედრობას და მისი კულტის მთავარ გამავრცელებელიც ჯარისკაცები იყვნენ. რომის კეისრის ტიტუსის იანეს დროს მითრიაზში გასაოცარი სისწრაფით ვრცელდებოდა მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ იმპერიაში. იმპერატორმა ავრელიანემ მითრიაზში აღიარა მთავარ რელიგიად და 273 წელს განსაკუთრებული ელიქტივი კი გამოსცა, რომ 25 დეკემბერი მითრას დაბადების დღით ედღესასწაულათ და უწოდა მას „Dies Natalis Solis invicti“ (დაბადება უძლეველი მზისა). ამ დროიდან რომში არსებული მზისა და სინათლის ღვთაებების ერთგვარი ასიმილაცია ხდება მითრას კულტში და რომაელთა შემეცნებაში მითრა მზის ღვთაებათ იქცა.

ეს გარემოება იმით აიხსნებოდა, რომ მითრიაზში მორწმუნეებს იზიდავდა თავისი ახალი მოძღვრებით და ასკეტურ მორალით, რომელიც წმ. აღმოსავლური ხასიათის მატარებელი იყო. მისი ღვთაებრივი ძალა კეთილისა და ბოროტების შორის დაუსრულებელ ბრძოლასთან იყო დაკავშირებული და ეს განუწყვეტელი ბრძოლა მორწმუნოებისაგან მოითხოვდა აქტიობას და მედვარ ბრძოლას ბოროტებას დასაძლევათ. მითრიაზმის მოძღვრებით, კეთილისადმი ლტოლვა იმავე დროს მისწრაფება იყო ბრძოლისა და შემოქმედ შრომისაკენ, რადგანაც შრომა კეთილიაო. ამიტომ მითრას მიმდევრები ყოველგვარ თავგანწირვას, მამაცობას და გულადობას მორჩილებაზე მალა აყენებდნენ.

ამასთანავე მითრიაზში მორწმუნესაგან მოითხოვდა სულიერ სიფაქიზეს და სიწმინდეს, რომელიც მარხვითა და ლოცვებით ასკეტობამდის იყო აყვანილი. მითრას მიმდევართა შორის სიცრუის ჩადენა, პირობის დარღვევა აკრძალული იყო და დიდ ცოდვით ითვლებოდა, რადგანაც მათი რწმენით მითრა მტერი იყო ყოველგვარი სიმრუდისა. მითრა მორწმუნეთა შორის სქესობრივთაც წმიდა იყო და ის მუდამ ვაჟკაცურად იყო გამოხატული, მარტო და არასოდეს ქალღმერთის გვერდით. მითრელები ამბობდნენ: „ადამიანისათვის ცხოვრება გამოცდაა, ვანც იმარჯვებს ის საიქიოს კეთილ საჩუქარს მიიღებსო“, ამიტომ გასაგებია, რომ მითრიაზში, როგორც ბრძოლისა და ვაჟკაცობის მადიდებელი, პირველყოვლისა ჯარისკაცთა სარწმუნოებათ ითვლებოდა.

ამასთანავე მეტად დამახასიათებელი იყო ის გარემოება, რომ მითრას კულტი რომის იმპერიაში და საზოგადოთ დასავლეთ ქვეყნებში ხართან იყო დაკავშირებული. იგი ყველა ბარელიეფებზე წარმოდგენილია ხარის მკვლელათ. მითრიაზმის მოძღვრებით მითრას უმთავრესი ღვაწლი იყო ბრძოლა პირველ ცოცხალ არსებასთან—ხართან, რომელიც ქვეყნათ გაჩნდა თვით აპურა-მზდის ბრძანებით. მითრა იქერს ხარს და მას ხანჯლით ჰკლავს, არიზანი შეეცადა წაეტილწა ხარის სისხლი და თესლი. მაგრამ მთვარის ღვთაებამ მოაგროვა ხარის თესლი და იგი გაწმინდა. (იხ. К у н. გვ. 134). ხარის თესლისაგან წარმოიშენენ სასარგებლო ცხოველები, ხარის სული ზეცაში დასადგურდა და საქონლის ჯოგების მფარველიაო, ხერხემლის ტვინისაგან აღმოცენდნენ სხვადასხვა პურეულიო, სისხლისაგან ყურძნის მტევნებო და სხვა. (იხ. К у н о в 134—135).



ამიტომ ვისაც ცოდვებისაგან სურდა განწმენდა, მას მსხვერპლად მითრეუმში (მითრას სამლოცველო) ზეარაკად ხარი უნდა მიეყვანა და მისი ხლით გაბანილიყო <sup>1</sup>.

ქრისტიანობის გავრცელების პირველ პედიოდში მორწმუნეები არავითარ განსხვავებას არ ამჩნევდნ მითრეიზმისა და ქრისტიანულ მოძღვრებასა და მათი რიტუალურ წესებს შორის. მორწმუნეთა შემცენებაში ეს ორივე სარწმუნოებრივი მიმართულება თითქმის ერთი და იგივეობას წარმოადგენდა, ამიტომ მითრეიზმი მეტად საშიში მეტოქე შეიქნა ქრისტიანებისათვის, მათ შორის დაიწყო ბრძოლა, რომელიც გავრცელდა 347 წლამდის, როდესაც პრეფექტი გრაქის ბრძანებით მითრეუმები თანდათანობით გაანადგურეს და მე-V საუკუნიდან მითრეიზმის ნანგრევზე ქრისტიანობა განმტკიცდა.

რასაკვირველია ასეთივე ბრძოლა უნდა განეცადა წარმართულ მირსასა და მიზდიანურ მოძღვრებას საქართველოში, როდესაც ჩვენში შემოიჭრა ქრისტიანული მოძღვრება. ბრძოლის ეს მომენტი სხვათაშორის აღწერილია ქართველთა უძველეს მატრიანეში „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ში“, სადაც მოყვანილია ეპიზოდი წმ. ნინოს (ქრისტიანობის) მიერ მავზდეანური კერპების: არმაზისა და ზადენის დამსხვრევისა და მიჰრან ან მირიან ქართველთა მეფის მოქცევის შესახებ <sup>2</sup>.

ამ თქმულებაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წარმართობის სახით გამოყვანილია მირიანი ან მიჰრანი. საფიქრებელია, რომ აქ წარმართი მეფის მიჰრანის სახით წარმოდგენილი იყოს თვით ღვთაება მირსა-იაზატა (ზადენი), რომლის კერპები ქრისტიანობამ გაანადგურა <sup>3</sup>.

წმ. გიორგი თავისი წარმოშობით რასაკვირველია ქართული ღვთაება არ არის. იგი წარმოიშვა მცირე აზიაში და აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წმ. გიორგი წოდებულია კაბადლუქელათ, სწორედ რომის იმ პროვინციიდან, რომელიც მითრეიზმის გავრცელების ერთ-ერთი ძლიერი ცენტრთაგანი იყო.

8  
7

<sup>1</sup> Albrecht Dieterich, Eine Mithras liturgie, Leipr. 1908 გვ. 93—134.

<sup>2</sup> მოქცევაჲ ქართლისაჲ (იხ. Опис. рукопис. общ. распростран. грам. т. II; ივ. ჯავახიშვილი Op. cit. წ. I, 1928 წ. გვ. 203 და 204; 261—265. გვ. 751.);

<sup>3</sup> რომ ეს შესაძლებელია ასე მომხდარიყო ამას მოწმობს ნ. მარრის მოსაზრებაჲ ქართულ წარმართი ღმერთების წარმოშობის შესახებ. ნ. მარრი ამბობს, რომ ქრისტიან მემპრტიანებს ყალბი და შემცდარი შეხედულება ჰქონდათ წარმართ ღმერთების წარმოშობაზეც. მათი წარმოდგენით წარმართა ღმერთები წარმოშობილი იყვნენ ძველ მეფეებისაგან, რომლებსაც უღვამდენ ქანდაკებებს და შემდეგში მათ თავყანასაცემდნ, როგორც ღმერთებსო.

ამიტომ თუ ღმერთები ძველი მეფეები იყვნენ, მაშინ მემპრტიანებს შესაძლებლად მიაჩნდათ ადგილობრივ ღმერთებზე თქმულებები გადაეტანათ იმ მეფეებზე, რომელთა შესახებ ცნობები არ მოიპოვებოდა. ასეთივე შეხედულება გაბატონებული იყო სომხურსა და ქართულს საისტორიო მწერლობაში (იხ. Н. Марр, Боги языческой Грузии გვ. 2).

ნ. მარრის ეს მოსაზრება საყურადღებოა, მით უმეტეს წარმოების მიხედვით მირიან მეფის პიროვნება, როგორც იმერეთის პირველ ქრისტიან მეფისა ჯერჯერობით საბოლოოდ დადგენილი და გამორკვეული არ არის. (პ რ ო ფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, ტფილისი 1928 წ. გვ. 203—204, პროფ. კ. ქ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, ჟურ. „მიმოხილველი“ ტფილისი, 1928 წ. 25—30).



წმ. გიორგის შესახებ ქრისტიანობის პირველ პერიოდში, საბერძნეთისა და მცირე აზიის ქვეყნებში ითხზებოდა მრავალი აპოკრიფული თქმულებები და თუ ჩვენ ამ აპოკრიფულ თქმულებებს შევადარებთ მითრას შესახებ თქმულებას, მათ შორის საგულისხმო მსგავსებას აღმოვაჩინებ. წმ. გიორგი როგორც მარტვილოზის ავტორები მოგვითხრობენ, <sup>1</sup> გამოჩინებული და სახელგანთქმული მეომარი ყოფილა, რომელიც კეისარი დიოკლეტიანეს ჯარში მსახურებდა. მაგრამ როდესაც ამ კეისარმა ქრისტიანებს სასტიკი დევნა დაუწყო, გიორგი მას განუდგება, მასთან ერთად მთელ წარმართობასაც და ქრისტიანებს ემხრობა. ამისათვის მან მრავალი წამება განიცადა, ამიტომ პირველ ქრისტიანთა შორის იგი მეომარ წმიდანად და ქრისტიანთა მფარველად იყო აღიარებული. მისი დღესასწაული, როგორც ღვთაება მითრას, ქრისტიანულმა ეკლესიამ გაზაფხულისა და შემოდგომის მზის მოქცევას დაუკავშირა.

გარდა ამისა წმ. გიორგი, როგორც მითრა, მიწის მუშაკთა და განსაკუთრებით მწყემსთა მფარველად იყო აღიარებული. იგი მითრასავით კეთილ და ბოროტ ძალთა შუა სდგას და ბოროტების დასათურგნავათ იბრძვის. ამ ბოროტების სიმბოლიური გამოსახულებაც ის ვეშაპია, რომელსაც წმ. გიორგი თავისი მახვილით ჰგმირავს. ამასთანავე ორივე ღვთაება ერთნაირი სამხედრო მოკავშულობით არიან აღჭურვილნი: თავზე ჩაფხუტით, მუზარადით, ხელში უჭირავთ გრძელი შუბი, წელზე არტყიათ ხმალი და თეთრ ცხენზე სხედან.

თვით მითრას მსხვერპლი—ხარი აგრეთვე დაკავშირებული იყო წმ. გიორგისთან, რომელიც აპოკრიფულ თქმულების მიხედვით, ერთ კეთილ მორწმუნე კაბადუციელს თეოპასტეს მკვდარ ხარს გაუცოცხლებს. ამავე აპოკრიფის ცნობით, თეოპასტემ ხარი საძოვარზე დაჰკარგა და წმ. გიორგის შეპირდა, თუ იგი მას ხარს აპოვნინებდა დაკარგულ ხარს მას შესწირავდა. თეოპასტემ ხარი მართლაც იპოვა, მაგრამ მისი შეწირვა დანანდა და წმ. გიორგის სამაგიერო სხვა ცხოველი შეწირა, მაგრამ წმ. გიორგიმ შეწირული მსხვერპლი არ მიიღო და იგი თეოპასტეს მანამდის არ მოეშვა, სანამ მას ხარი არ შეწირა <sup>2</sup>.

გარდა ამისა, წმ. გიორგისთან აგრეთვე დაკავშირებულია გამოქვამულთა თაყვანისცემა. ამ გამოქვამულებს მითრიელებიც თაყვანსა სცემდნენ, მაგრამ გაქრისტიანებული მითრიელებისათვის გამოქვამულები რომ შეეზიზღებინათ, აპოკრიფულ თქმულებით, წმ. გიორგი იქ ეშმაკს ამწვდევს და ამგვარად გამოქვამულთა მითრეუმები ქრისტიანებმა ეშმაკთ სადგომათ გადააქციეს. მაგრამ ამ ორ ღვთაების, წარმართულ მითრასა და ქრისტიან წმ. გიორგის ნათესაობის გამოსარკვევად მარტო აპოკრიფებზე დამყარება არ კმარა, უფრო მნიშვნელო-

<sup>1</sup> წმ. გიორგის მარტვილობის ბერძნული და ლათინური ვარიანტების ტექსტები რუსულ ზარგმანით მოთავსებულია აკად. ვესელოვსკის გამოცემაში: „Разыскания в области русских духовных стихов“.

<sup>2</sup> საბინინი, საქ. სამოთხე, სბ. 1880 წ. გვ. 48—68.

ენია საისტორიო წყაროებში შემონახული ცნობების გარკვევა და ხალხში/და-  
 ცული რიტუალისა და საკულტო წესების შედარებითი შესწავლა <sup>1</sup> (კრეტიანოვი)  
 უტყუარ ცნობების უქონლობის გამო ძნელია იმის დადგენა, <sup>2</sup> რომელიც  
 იდან შემოდის ჩვენში პირველად წმ. გიორგის თაყვანისცემის კულტი. <sup>3</sup> ამ  
 მხრივ საყურადღებოა ისტორიული ხასიათის ერთი გადმოცემა, რომელიც ეხე-  
 ბა ქართველთა მოქცევას. მასში სხვათა შორის ნათქვამია. „განუსაკუთრა (ნი-  
 ნომ) წმ. გიორგი ღვაწლ-დიდებულსა და მოქცეულსა თვისსა ერსა და დაუდგა  
 სჯულად, რათა სხვათა შორის წმინდათა აქენდეს უმეტესი სასოება და სურ-  
 ვილი წმ. გიორგისა, ვინაიდან განგებულებითაც ზეგარდმოთა „გიორგიელად“  
 წოდებული იგი (ქართველნი) უწინარეს ჟამიღვან... მიერიდვან წმინდანმა ნინო,  
 სათნოყოფისა მეფისა და მთავართა მისთა და ერისა მისისათა განუწყენსა და  
 მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმ. ამის  
 მთავარ მოწამისა გიორგისასა და ეგრეთვე ყოველთა ზედა საქურველთა და ჩა-  
 ფხუტთა ზედა მხედართასა და იქნა სახეჲ მისი შეწყნარებულ პირველ ორდე-  
 ნად ქართველთა სახელმწიფოსა... და ვინაიღვან ქართველთა პირველსავე ჟამსა  
 მოქცევისა თვისისა აღირჩიეს მოწამე ესე უაღრეს სხვათა წმინდათა მფარვე-  
 ლად, იწყეს და აღაშენეს 365 ტაძარი... სახელსა ზედა წმიდისა ამის მთავარ  
 მოწამისა“.<sup>4</sup>

ეს ცნობა რასაკვირველია ისტორიულ სინამდვილეს არ შეიცავს, იგი  
 წარმოადგენს ხალხური გადმოცემის ერთერთს ვარიანტს, რომელიც შეტანილია  
 წმიდათა ცხოვრების ძეგლებში და საეკლესიო თხზულებებში. მხოლოდ აღსა-  
 ნიშნია ის გარემოება, რომ ამ თქმულებით წმ. გიორგი დაკავშირებულია წმ.  
 ნინოსთან და ქართველთა მოქცევასთან. ამასთანავე ნინომ განუწყენა ქართველ  
 მეფეებს თავიანთ სამეფო დროშაზე გამოესახათ წმ. გიორგი ისეთი სა-  
 ხით, როგორც საზოგადოდ წარმოდგენილი იყო მითრა არმოსავლეთისა და

<sup>1</sup> ოფიციალური ქრისტიანობა, როგორც საზოგადოდ ყველგან, ჩვენშიაც სასტიკად ხდე-  
 ვნიდა წარმართობის ყოველგვარ ნაშთებს. ისპობოდა წარმართული ხასიათის ნივთიერი თუ  
 წერილობითი ძეგლები. ამით აიხსნება ქართველი მემბტიანების დუმილი, ქართული წარმარ-  
 თობის შესახებ და ნივთიერი ძეგლების სიმცირეც. მაგრამ დღემდეა წარმართობამ თავი შეა-  
 ფარა საზოგადოების დაბალ ფენების ოჯახებს და ამით გადაარჩა ვანადგურებას. განსაკუთრე-  
 ბით ეს ითქმის იმ ტომებზე, რომლებიც თავიანთ კილოზე ლოცულობდნენ: მეგრელები, სვანე-  
 ბი და აფხაზები. ეს ტომები ოფიციალური ქართული საეკლესიო ენით ქრისტიანულ ტაძრებ-  
 ში ლოცულობდნენ და იმავე დროს ოჯახის კერასთან და „ოჯამერთან“ თავიანთ ენაზე წარ-  
 მართული ლოცვა-ვედრებას წარმოსთქვამენ.

<sup>2</sup> ქართული მე-8-9 საუკუნის ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული მწერლობაში მოიპოვება ხო-  
 გერთი ცნობები წმ. გიორგის შესახებ (იხ. პროფ. კ. კეკელიძე, კიმენი, ტ. I, ტფილისი  
 1918 წ. გვ. XXXVIII—XXXIX, 4). მხოლოდ წმ. გიორგის ცხოვრება—მოღვაწეობის სრული  
 თარგმანი ჩნდება არა უადრეს მეათე საუკუნისა, ეს „ცხოვრება“ რამდენიმე რედაქციით არის  
 შემონახული ქართულ ენაზე.

საკულისხმოა, რომ საქართველოს ფეოდალური მონარქიის გაძლიერებასთან (XI—XII  
 საუკ.) ჩვენში მტკიცდება წმ. გიორგის თაყვანისცემის რწმენაც, რომელშიაც მოცემული იყო  
 ამ წოდების მსოფლმხედველობა და იდეოლოგია.

<sup>3</sup> თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ისტორია ივერიისა გვ. 18—20.



დასავლეთისა ქვეყნებში. ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ წარმართულ საქართველოში სამეფო დროშაზე გამოსახული ყოფილიყო თავჩაფხუტიანის ხმლითა და შვილდ-ისარით შეიარაღებული თეთრ ცხენოსანი მხედარი შირსა, რომელიც შემდეგ ხალხის შემეცნებაში წმ. გიორგიმ შესცვალა. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით ქართული არმაში თავის გამოსახულებით უფრო მითრას წააგავდა, ვიდრე აპურა-მანდას. გემატიანე მის ასე აგვიწერს: „ვიხილე და აჰა დგა კაცი ერთი სპილენძისაჲ: და ტანსა მისსა ეცუა ჯაქვ: ოქროსაჲ: და ჩაფხუტი ოქროსა: და სამჯარნი ესხნეს და ხელსა მისსა აქვნდა კმალი ლესული“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერ. ტექსტი: ე. თაყაი-შვილი, описание II 752).—

მითრაც ასეა წარმოდგენილი თითქმის ყველა აღმოჩენილ ბარიელეფებზე. მას ასხრა სამხარი, ხურავს ჩაფხუტისებური ფრიგიული ქუდი და ხელში უჭირავს გალესილი ხანჯალი, რომლითაც ის ხარსა ჰკლავს (T. Cumont, Op. cit. II, fig. №№ 28, 51, 178, 290 და სხვა.). წმ. გიორგის შესახებ შედარებით უფრო ვრცელი და საყურადღებო მასალები მოიპოვება ჩვენში დაცული საღვთისწაულო წესებში და ხალხური ცრუმორწმუნეობაში და რიტუალში.

ამ შემთხვევაში საქართველოს სხვა საქრისტიანო ქვეყნებთან შედარებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და არსად სხვაგან წმ. გიორგის რწმენა ისე ფართოდ გავრცელებული არ ყოფილა, როგორც საქართველოში. ამასთანავე ჩვენში არსებული წმ. გიორგისადმი რწმენა და რიტუალი სხვაგან არსებული წესებისაგან განსხვავებული სახით წარმოგვიდგება. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ საქართველოში შემოჭრილი ქრისტიანული მოძღვრება და მისი ღვთაებები ერთგვარ ასიმილიაციას განიცდიდნენ ადგილობრივ წარმართულ რწმენაში და ამიტომ წმ. გიორგი უეჭველია წარმართული რწმენის მრავალი გადანაშთის მატარებელია.

ისტორიის მანძილზე საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება იცვლებოდა და ამასთან ერთად იცვლებოდა მისი სარწმუნოებრივი შემეცნება და საზოგადოებრივი იდეოლოგიაც. ამის გამო არ შეიძლება წმ. გიორგის რწმენასა და კულტს ჩვენებამდის პირველადი სახითა და ფორმით მოედწია. მით უმეტეს ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს ისტორიული სინამდვილეში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა რელიგიურ მოძღვრებათა გაერცელებას და აღრევას, რაც უეჭველია დიდ გავლენას ახდენდა ადგილობრივ რწმენაზე და რიტუალურ წესებზე.

ამის გამო ქართული თეთრი გიორგი ჩვენში სინკრეტიული რწმენის მატარებელია. ხალხურ რწმენაში და რელიგიურ შემეცნებაში წმ. გიორგის ღვთაებრივი ძალა და ფუნქციონალობა განუსაზღვრელია. იგი უნივერსალური ღვთაებათ არის წარმოდგენილი. ასეთივე უნივერსალიზმი ახასიათებდა მითრასაც და ორივე მითრა და წმ. გიორგი, როგორც ბრძოლისა და მძლეობის ღვთაებანი კლასობრივ საზოგადოებაში იქნენ გაბატონებული კლასების იდეოლოგიის მატარებელ ღვთაებათ. მხოლოდ სხვადასხვა საზოგადოებრივ-ისტორიულ პირობებში. მითრა იყო ირანის მეფეებისა და რომის იმპერატორების მილიტარის-



ტული ზრახვების მატარებელი, წმ. გიორგი კი საშუალო საუკუნის ფეოდალური არისტოკრატის რწმენისა და იდეოლოგიის გამომხატველი, ეპოქისა და მისი წინამორბედი ლვთაება მითრასთან, შეიძლება ჩვენ ვერ მივიღოთ მათი სრული მსგავსება. მაგრამ მათი ერთბუნოვანობის დასადგენად საკმარისი იქნებოდა შედარების საშუალებით გამოგვეჩვენა მათ შორის არსებული მსგავსებანი: ლვთაებრივი ფუნქციონალობაში, რწმენის შინაგანი მომენტებში და აგრეთვე კულტის მსახურებაში და რიტუალურ წესებში.

ამიტომ წმ. გიორგის შედარების დროს, მისი წინამორბედი ლვთაება მითრასთან, შეიძლება ჩვენ ვერ მივიღოთ მათი სრული მსგავსება. მაგრამ მათი ერთბუნოვანობის დასადგენად საკმარისი იქნებოდა შედარების საშუალებით გამოგვეჩვენა მათ შორის არსებული მსგავსებანი: ლვთაებრივი ფუნქციონალობაში, რწმენის შინაგანი მომენტებში და აგრეთვე კულტის მსახურებაში და რიტუალურ წესებში.

მითრასა და წმ. გიორგის ასეთ შედარებას ჩვენ ვიწყებთ პირველყოფილსა ორივე ამ ლვთაებისადმი შეწირული მსხვერპლისა და რიტუალის მსგავსების მიხედვით. მით უმეტეს ჩვენ ვიცით, რომ ახა თუ იმ მთავარ ლვთაებას მისი ლვთაებრივი ფუნქციონალობის მიხედვით ერთ რომელიმე ცხოველის მსხვერპლს სწირავდნენ. მითრას, როგორც სინათლისა და მძლეობის ლვთაებას სხვა ცხოველებთან ერთად უმთავრესად ხარებს სწირავდნენ <sup>1</sup>.

განსაკუთრებით დასავლეთ ქვეყნებში, სადაც მითრა წარმოდგენილი იყო ხარის მკვლელათ. <sup>2</sup> ამასთანავე ხარის შეწირვის დროს მითრეუმებთან იმართებოდა ტავრობოლიები და მლოცველებიც ცოდვებისაგან განწმენდის მიზნით ხარის სისხლით უნდა განბანილიყვნენ. <sup>3</sup>

მირსობას წარმართულ საქართველოშიაც ასე უნდა ყოფილიყო და წლის უმთავრეს დღესასწაულზე, რომელიც იმართებოდა გაზაფხულზე და შემოდგომაზე მირსას ტახთან ერთად ზვარაკად ხარებსაც სწირავდნენ. ამას მოწმობს სხვათა შორის ის გარემოება, რომ სვანეთში მირსობას მეისარის ხატს კურატებს სწირავენ. ქრისტიანობის ხანაში ხარის ეს მსხვერპლი წმ. გიორგის დაუკავშირდა, რასაც მოწმობს გიორგობას ჩვენში კურატების შეწირვა.

უნდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად მასალების სიუხვისა, ამ გარემოებისათვის ჯეროვანი ყურადღება არავის მიუქცევია. მით უმეტეს, რომ ასეთ შედარებისათვის სხვათა შორის საუკეთესო მასალას წარმოადგენს ილორის წმ. გიორგობაც მთელი თავისი რიტუალობით. ილორის გიორგობა სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ ყოფილა სპეციალური კვლევის საგანი, მხოლოდ აკად. ნ. მარრი ილორს უკავშირებს მუხის თაყვანისცემის კულტს და ამბობს: „и здесь (Илори), значит христианство хотело утвердить в борьбе с язычеством культ св. Георгия, но местный языческий культ „священных дубов“ или священной дубовой рощи „пережил“. <sup>3</sup>

<sup>1</sup> ხარის მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით მზის ლვთაებას სწირავდნენ. ეგვიპტეში ხარის კულტი დაკავშირებული იყო ლვთაება პტასა და რასთან, ბაბილონში—მარდუქთან, საბერძნეთში—ზეუსთან. რომში—იუპიტერთან და სხვა. Ев. Кагоров, культ фетишей, растений и животных в древней Греции, გვ. 248; ზოგი ჰიმნებში თვით მითრაც ხარად არის მიჩნეული: „ოდესღაც ხარი, მითრა, ფართე სამოვრების, მფლობელი... და სხვა. (იხ. 3. Погрозина, გვ. 81).

<sup>2</sup> T. Simon, op. cit. II, Fig. №№20, 23, 23, 51 და სხვა.

<sup>3</sup> А. Кун. Op. cit., გვ. 134—136.

<sup>3</sup> Н. Марр, христианский восток, т. V, стр. 137—138.—

ნ. მარტიის მიერ გამოთქმული მოსაზრება და დასკვნა ჩვენთვის საყურადღებოა და წმ. მუხის ხეივანი ილორი შემდეგში უნდა გადაქცეულა ჯეგე-მისარონის ე. ი. მირსასა და წმ. გიორგის თაყვანის ცემის ადგილად. მასს მოწმობს თვით ილორის გიორგობა, რომელშიაც მოცემულია მითრიაზმის საყურადღებო გადანაშთები.

ილორის გიორგობაზე არსებობს რამდენიმე აღწერა,<sup>1</sup> მაგრამ ჩვენ აქ მოვიყვანთ ყველაზე უფრო ძველ აღწერას, რომელიც ეკუთვნის არქანჯელო ლამბერტს.

ნოემბრას 20-ს (ძველი სტილით) დღესასწაულობენ წმ. გიორგის დღეს. ხალხში ის ცრუმორწმუნეობაა არის გავრცელებული, რომ ამ დღეს ეს დიდებული მოწამე მოიპარავს არემარეში ხარს და ღამით მოიყვანს ილორის ეკლესიაში, რომელიც მის სახელზე არის აშენებული. ამ ეკლესიას დიდ პატივსაცემენ არამც თუ მეგრელები, არამედ მახლობელი ხალხები. ამიტომაც მდიდარია ეს ეკლესია ოქროთ და ვერცხლით და ძვირფასი ქვებით შემკული ხატებით. თვით კარგი ვერცხლით შემკულია. იმდენად თაყვანსა სცემენ ამ ეკლესიას, რომ თუმცა იგი მოშორებულა და ზღვის პირას სდგას, მაგრამ ფიქრი არ არის, რომ ვინმე გაჭურდოს იგი, ან მტრის გემით მოვიდნენ და გაძარცვან იგი; არამც თუ კარის გატეხვის შიში არა აქვთ, არამედ მისი ძვირფასი ქვები რომ ახლო-მახლო გზაში დააბნიო, იმისაც ხელს არავინ ახლბს. ამ წმინდანის შიშით მარტო აქაურებს კი არა, არამედ თვით აფხაზებსაც, რომელნიც სრულიად მოკლებულნი არიან სარწმუნოების სინათლესა, ეშინიანთ მისი და თაყვანსა სცემენ მას.

ეს შიში უმთავრესად აი საიდან წარმოსდგება: ამ ეკლესიის კედლებზე რამდენიმე ფრიად დიდი შუბია, რომელთაც რკინის დიდი ორპირი მახვილი აქვთ. მღვდლებს ხალხში ის აზრი გაუფრცელებიათ, რომ წმ. გიორგი ერთერთ შუბით უსათუოდ მოჰკლავს იმ კაცს, ვინც მის მიმართ გამოიჩენს უშიშროებას. ამ ამბით დაშინებული ვერავინ ვერ ბედავს ამ ეკლესიის გაჭურდვას და ან სხვანაირად შეურაცხყოფას.

20 ნოემბერს მთავარი ყველა თავისი კარისკაცებით, თავად-აზნაურობით და ოდიშის ხალხით მიდის ილორის ეკლესიაში დღესასწაულზე დასასწრებლად და იმის სანახავად, თუ როგორ მოიყვანს წმ. გიორგი ხარს. მარტო ოდიშელები კი არა, აფხაზებიც და სვანებიც ბლომად მოდიან ამ დღესასწაულზე. ეკლესიას გარს უვლის გალავანი, რომლის სიმაღლე იქნება თითქმის 15 მტავველი. შესავალთან დიდი კარებია და ამ კარებზე აგებულია მშენიერი სამრეკლო მრავალი ზარით. წინა დღით, როცა დაბნელებდა, მთავარი მოვა ამ კარებთან დიდი ამალით, რომელშიაც არიან ეპისკოპოზები, თავადები და აზნაურები, კლიტით დაკეტავს ამ კარებს და გარდა ამისა, კლიტეს დაასვამს თავის ბეჭედს და წავა მოსასვენებლად. მეორე დილას გათენებამდინ მთავარი ისევ მოვა იმავე ამალით. რაკი დარწმუნდება მთავარი და მისი მხლებლებიც,

<sup>1</sup> Н. Джанашия, Религиозные верования абхазов, Христ. Восток, т. V, 83-94-95.

რომ ბეჭედი მთელია და ხელი არავის უხლია მისთვის, მოხსნის ბეჭედს და გააღებს კარებს. შიგნით, გალავანსა და ეკლესიას შუაღ დაინახვენ ხარს. ამის დანახვაზე მთელი ხალხი დიდი მოწიწებით მადლობას შეწირავენ წმინციანთაგანს ამისთანა ხარისხის მოყვანისათვის. მაშინვე შეუდგებიან ზარების რეკვის და ყველგან გაიგებენ, რომ ხარი მოყვანილი იპოვესო. ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ხარი თავის ხელით იმ ღამით შემოიყვანა წმ. გიორგიმ. ამბობენ კიდევ, რომ წმ. გიორგი სამჯერ მიიყვანს ამ ხარს ზღვიდან მთამდომ და სამჯერ—მთიდან ზღვამდომ და ამ გზით კურთხეულ ქმნილს ეკლესიის გალავანში დააგდებსო ხალხის სასარგებლოდ.

ხალხში დიდ ლაპარაკს გამოიწვევს ეს ხარი იმისდა მიხედვით, თუ რა სახით ნახავენ მას. თუ დაქერის ღროს ხარი არ დანებდება და წიხლებს ისვრის, ან რქებით ირჩოლებს, იტყვიან, რომ წელს უსათუოდ ომი იქნებაო. თუ ხარი ზურგზე წამოწოლილი და მტვერში ამოსვრილი იპოვეს, იტყვიან, რომ კარგი მოსავალი იქნება ღომისა, ბოსტნეულისა და პურისაო. თუ ხარი ცვარით დანამული იქნა, კარგი მოსავალი იქნება ღვინისაო. თუ ფერი ქერაა, ადამიანთა, პირუტყვთა ხშირი სიკვდილი იქნება, და თუ თეთრი ან ჭრელია, ფრიად კარგი ნიშანიაო. თუმცა ეს ნიშნები ყოველ წელსადაც მტყუნდება. მაგრამ მაინც სწამთ როგორც სახარება. ხოლო თუ ვინმემ გაიგო, რომ ერთერთი ეს ნიშანთაგანი გამართლდა, მაშინვე ყოველმხრივ კაცებს გაგზავნის და ყველას შეატყობინებს ამ ამბავს, ვითარცა ყველასათვის ფრიად საჭიროს.

ხარს გაიყვანებენ გალავანის გარეთ და დააკვლევიანებენ იქაურ მცხოვრებს, რომლის ოჯახს ძველიდანვე ეკუთვნის ხელობა. ამ ოჯახშივე ძველიდან დარჩენილია ნაჯახი, რომლითაც უნდა დაიკლას ის ხარი და რომელსაც ინახავენ, როგორც სამღვთო ნივთს და სხვაზე არაფერზე არ ხმარობენ. ის კაცი რომ დაჰკლამს ხარს, გაანაწილებს კიდევ: უმეტესი ნაწილი რქებითურთ ეკუთვნის მთავარს. ამ რქებს მთავარი შეამკობს ოქროთი და ძვირფასი ქვებით და დიდ დღესასწაულებში იმ რქებით ღვინოს დალევს წმ. გიორგის სადიდებლად. იმერეთის მეფესაც კარგი წილი ეკუთვნის. თუმცა მეფესთან მთავარი მტრად იყო და ომობდა კიდევ, მაგრამ ამან მისი ნაწილი მაინც გაუგზავნა მეფეს. მეფემ მომტანი უხვად დაასაჩუქრა და ისე გამოაბრუნა. აგრევე მოიქცა მთავარი გურიელის შესახებ. სხვადასხვა ძველებურ გვარს ოდიშში თავისი წილი აქვს მიჩენილი. რაც დარჩება, დასჭრიან ძალიან წვრილ წვრილად და დაურიგებენ ხალხს. ამ ხორცს გაახმობენ კვამლზე და დიდის სასობებით შეინახავენ ავადმყოფობის ღროს მოსახმარად. დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ხორცი საუკეთესო წამალია ყოველ ავადმყოფობის წინააღმდეგ, თუმცა ბევრჯერ ბედნიერ შედეგი არ ჰქონია ამ წამალს, მაგრამ ავადმყოფობის ღროს მაინც ყველა სხვა წამალზე უფრო ამას არჩევენ.<sup>1</sup>

საყურადღებოა, რომ კურატის ამ წმ. ნაწილების მისაღებათ, საქ. მეფე-მთავრები ილორში თავიანთ კაცებსაც კი გზავნიდნენ, იმერეთის მეფის ალქსანდ-

<sup>1</sup> არქან ჯვლო ღამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ტფილისი 1901 წ. გვ. 146—149

რეს მიერ ილორისადმი ზოძებული 1730 წლ. სიგელში სხვათაშორის ნათქვამია: „ილორის ეკლესიასა წისა ამის მოწამისა, რწლითი წლად დღესასწაულსა მი-  
სსა კარი დამაშურალი მის შრ მოიკეანების ყთა სახილველად და ისწავებინა  
განსაკვირვებლად და სხვანიცა ფრიალნი ძლიერბანი და კურნებანი იქნე-  
ბიან ჩვენსა შა სულიერნი და ხორციელნი“...<sup>1</sup>

თუ ჩვენ ილორის გიორგობის ამ აღწერას მითრას ხართან ბრძოლის მის-  
ტერიებს შევადარებთ, მათ შორის დიდ მსგავსებას აღმოვაჩნეთ. ჯერ ერთი წმ.  
გიორგი ხარს იპარავს და ეს მოპარული ხარი მას ღამე მიჰყავს ილორის  
ეკლესიაში და იქ ამწყვედევს. მითრაც ხარს თვითონ იქერს და თავის სადგომ-  
ში—გამოქვაბულში ამწყვედევს. წმ. გიორგი „ხარიპარიად“ არის წოდებული,  
მითრას ერთერთი ეპითეთიც „ხარიპარია“ (büklopos) იყო.<sup>2</sup> შემდეგ საყურად-  
ღებოა ხართან ბრძოლისა და დაკვლის მომენტი, რომლის მიხედვით ილორში  
წინასწარმეტყველებენ ბოსტნეულისა, პურისა და ღვინის მოსავალზე, აგრეთვე  
შინაური საქონლის გამრავლებაზე და სხვა.

ასევე იყო მითრას მისტერიები ხარის დაკვლის მომენტში. მორწუნეების  
წარმოდგენით ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა უდიდეს სასწაულებრივ მოვლე-  
ნებს: ხარის სისხლისაგან აღმოცენდებოდა ყურძნის მტევნები, ხერხემალის ტვი-  
ნისაგან—პურეული, მომაკვდავ ხარის სხეულიდან სასარგებლო მცენარეები, ბა-  
ლახები სხვა.<sup>3</sup>

რაც შეეხება ილორობას ხარის ხორცის მორწუნეთა შორის განაწილებას  
და მისი სისხლით განათლების წესებს, აქ ჩვენ სრული ანალოგია გვაქვს მითრას  
რომაულ ტაგრობოლიებთან, სადაც მითრას მიმდევნებს აკურებდენ ხარის სის-  
ხლით, ხორც კი „სამო“ სუფრაზე შეექცეოდენ.

საყურადღებოა, რომ მითრიაზმის ასეთი დამახასიათებელი ტაგრობოლიე-  
ბი წინად გავრცელებული ყოფილა აფხაზემშიაც, რომლებიც გამოქვაბულ  
„ოგინს“ თაყვანსა სცემდენ თურმე და მისი სახელით ფიცულობდენ. ყოველ  
შემოდგომას აფხაზები ამ გამოქვაბულში იკრიბებოდნენ. აქ გამოჩნდებოდა თე-  
თრი ხარი, რომელსაც იქვე დაჰკლავდნენ და მის ხორცს მლოცველებს უნაწი-  
ლებდენ, ძვლებს ცეცხლში სწვავდენ, ფერფლს კი მიწაში მარხავდენ.<sup>4</sup>

მითრა იყო კლდიდან შობილი ღვთაება და მისი სამოლოცველოები გამარ-  
თული იყო გამოქვაბულებში, სადაც იმართებოდა მისი მისტერიები და ხარის  
შეწირვაც აქვე ხდებოდა.<sup>5</sup>

ასეთივე ხასიათის რიტუალი სრულდებოდა კახეთშიაც, სადაც ცნობილია აწ-  
ყურის თეთრი გიორგობა. 14 აგვისტოს, როდესაც მლოცველები დილის რიფ-

<sup>1</sup> ს. კაკაბაძე, ცნობები ილორის ყმათა შესახებ ხონსა და კუხს, საისტორიო მოამბე, წ. I, ტფილისი 1925 წ. გვ. 162.

<sup>2</sup> Проф. И. А. Боричевский Митризм и христианство, Ленинград 1929 г. გვ. 43.

<sup>3</sup> Н. А. Кун, Op. cit. გვ. 135; Н. А. Боричевский, Op. cit. გვ. 41.

<sup>4</sup> Jacob Reineggs, Allgemeine historich-topographische Beschreibung des kaukasus, m. II, გვ. 12.

<sup>5</sup> Н. Кун, Op. cit. გვ. 132, 141; С. Рейнак, Орфей (История религий) Москва 1919 г. გვ. 11—112.

რატუნე შეუდგებიან ტაძრის გარშემო ხოხვითა და სხვადასხვა რიტუალური ლოცვა-ვედრებას, ამ დროს უცბად დაიძახებენ; გზა! გზა! და თოკით ხარს შემოარბევიან, რომელსაც ორივე რქაზე ანთებული სანთელი აქვს მიფუთული. მღვდელი ხარს ბალანს შესტრუსავს და შემდეგ დიდი ზეიმით მას დასაკლავათ წაიყვანენ. ხარს მუხრუქს მოსდებენ და მიწაზე დააგორებენ. ამ დროს ხალხი დაიძახებს. დიდება შენს სასწაულ მომქმედ ძალას, თეთრო გიორგი! რომ ხარ-მა, ასე ჩქარა იგოდნო შენი ძალა. წაქცეულ ხარს კისერში ხანჯალს ჩასცემენ და თუ ზვარაკმა ტოკვა და წვევა დაიწყო, ხალხში ჩოჩქოლი ასტყდება, რომ მსხვერპლი წმიდა გულით არ ყოფილა შეწირულიო. შემდეგ დიდ ცეცხლს დაანთებენ, თოფებს ისვრიან და ქადაგად ეცემიან.<sup>1</sup>

ასეთივე წესით სრულდებოდა გიორგობა სოფ. არბოში, თელეთში, სუჯუნაში და სხვა.

აწყურის ამ თეთრ გიორგობაში მოცემულია მითრას ხართან ბრძოლის ერთი მომენტი, როდესაც ის დიდი ხნის დეენის შემდეგ ხარს მიწაზე დასცემს და ხანჯალს კისერში გაუყრის.<sup>2</sup>

გარდა ამისა, ხარის რქებზე ანთებული სანთლების მიკვრა, ცეცხლის დანთება, ხარის შუბლის შეტრუსვა, ზვარაკის სისხლით მლოცველების შუბლის დადაღვა და სხვა მითრახიმის რწმენის უტყუარი ნაშთია. ჩვენში კურატებს საზოგადოდ წმ. გიორგის სწირავენ და ვისაც წმ. გიორგის მიზეზი გამოუვა, იგი მას კურატს შეუთქვამს და გიორგობას ხატში დაჰკლავენ. ზოგიერთ გვარს წესად ადევს წმ. გიორგის სამი თუ ხუთი წლის განმავლობაში კურატი მიჰგვაროს, რომ იგი მუდამ ამ გვარის მწყალობელი და მფარველი იყოს. მაგალითად, ილორის მლოცავი გვარები, ყოველ მესამე წელიწადს ილორში აგზავნიდენ კურატს, მცხეთელ კოხმანიშვილებს ვალად მართებს შვიდ წელიწადში ერთხელ ლომისას წმ. გიორგის კურატი მიგვარონ. ფშავში გოგოლაურების საგვარეულო ჰქმოდის თავის წმ. გიორგის „საგვარმეტო“ კურატს სწირავენ.<sup>3</sup> სვანეთში იხდიან სალოცავ „უსხვაჲ“-ს და ამ დღისათვის საგანგებოდ ასუქებენ კურატს, რომელსაც წმ. გიორგის სწირავენ.

საყურადღებოა, რომ წმ. გიორგის ერთერთი უდიდესი სალოცავი „ლომისის“ წმ. გიორგი, რომელიც მღვთაშია (მთიულეთი)<sup>4</sup> ხარი „ლომა“-ს სახელით არის ცნობილი. ეს ლომისას წმ. გიორგი ხალხურ თქმულებით ხორასანიდან (ირანიდან) მოსულა. იგი მჯდარა თეთრი ხარის ლომას რქაზე და სქართველოში ისე შემოსულა.<sup>5</sup> ამ თქმულებით წმ. გიორგი მითრას სამშობლო ირანთან არის დაკავშირებული და, როგორც მითრა, წმ. გიორგიც ხარზე მჯდ. მად არის წარმოდგენილი. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ხარ-ლომმა თავდაპირველად დაკავშირებული ყოფილ იყო თვით ლომთან, რომელსაც მითრას კულტურ

<sup>1</sup> გაზ. „Кавказ“ 1878 г. № 230.

<sup>2</sup> T. Samont, op. cit., II, Tig. №№ 123, 168.

<sup>3</sup> ს. მ. კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, ტფილისი 1934 წ. გვ. 188.

<sup>4</sup> ს. მ. კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, ტფილისი 1930 წ. გვ. 166.

<sup>5</sup> ს. მ. კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, გვ. 166—167.



მეთოხე ადგილი ეჭირა. მითრას ბარელიეფებზე ლომი, როგორც სიმბოლო ცეცხლისა, ხშირად არის გამოხატული და ამიტომ საფიქრებელია, რომ ჩვენსავე ლომი მირსასთან ყოფილიყო დაკავშირებული, როგორც მისი საკულტო ცხოველი, შემდეგში ეს ლომი შესცვალა ხარ-ლომამ დი იგი დაუკავშირდა წმ. გიორგის.

ამას სხვათა შორის ისიც მოწმობს, რომ ზემო სვანეთში, მესტიის წმ. გიორგის ეკლესიაში დღემდის ინახება ლომის გამოსახულების დროშა<sup>1</sup> და ნეკრესის წმ. გიორგისადმი შეწირულ კურატს ლომ-ტახს უწოდებენ. ტახებს, ხომ მითრას სწირავდნენ. ამგვარად მითრას საკულტო ცხოველები: ტახი, ლომი და ხარი „ლომა“ ქრისტიანულმა რწმენამ ჩვენში წმ. გიორგის დაუკავშირა.

ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი ქართული ტაძრების ფასადები, მითრეუმების მსგავსად, შემკულია ხარის ქანდაკებებით, როგორც მაგალითად, ბოლნისის, მცხეთის სვეტიცხოველი, იფარის ეკლესია სვანეთში და სხვა. ფრინველებში კი წმ. გიორგის ჩვენში ჩვეულებრივად მამლებს წირავენ. გიორგობას თელეთში, ვერში, არბოში, აწყურში და სხვა მლოცავეებს მიჰყავთ მამლები და ხატს ლამეს უთევენ, გათენებისას მამალს ხელში დაიჭერენ და ეკლესიას მუხლის მოყრითა და ვედრებით სამჯერ შემოუფლიან. შემდეგ ამ მამლებს გააფრენენ. მამალი მახდენალებში წმ. ფრინველად ითვლებოდა და იგი დაკავშირებული იყო მითრას რწმენასთან. ხშირად მითრას ბარელიეფებზე მამალი გამოსახული. მახდენალების რწმენით მამალი თავისი ყვილით აფრთხობდა ბოროტ სულებს და ამგვარად იცავდა კეთილმორწმუნეებს სიავისაგან. ამის შესახებ ჰიმნებში ნათქვამია: „რომ ვინც სიყვარულითა და რწმენით მოიყვანს ამ ფრინველს (მამალს), ეს კეთილი საჩუქარია... და ვინც ამ ფრინველს მამლისას აქმევს იგი სამოთხეში პირდაპირ შევაო (იხ. ვ. А. Рагозина, გვ. 165).

მაგრამ ამ საკულტო ცხოველებისა და მათთან დაკავშირებული რიტუალის მსგავსებით არ ამოიწურება ჩვენი შედარება მითრასა და წმ. გიორგის შორის. უფრო მნიშვნელოვანია გავარკვიოთ მათი ლეთაებრივი ბუნების შინაგანი მომენტები, სულიერი და ზნეობრივი თვისებები, ფუნქციონალობა და მოღვაწეობა. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ წარმართულ მითრასა და წმ. გიორგის შორის საგულისხმო მსგავსება არსებობს.

პირველყოვლისა წმ. გიორგი და მითრა ასრულებენ შუამავლის როლს ღმერთსა და ადამიანთა შორის. ორივენი მფარველობასა და დახმარებას უწევენ კეთილ მორწმუნეებს და ამავე დროს ებრძვიან ყოველგვარ ბოროტებას. ეს ბოროტი ძალები ჩვენი ხალხის რწმენით დევებისა და გველაშაპების სახით ხალხს მტრობენ და მოხვენებას არ აძლევენ. და როდესაც მათგან შეწყუბებული ხალხი მფარველობისათვის ღმერთს მიმართავს, ის მას უგზავნის მებრძოლ ქამუკს წმ. გიორგის, რომელიც მითრასავით შეიარაღებულია და განუწყვეტლივ ებრძვის ამ ბოროტ დევებს და გველაშაპებს.

1. Уварова, Материалы то археол. Кавказа т. X, стр. 132.

3. ს. მაკალათია.



წმ. გიორგის ამგვარ ბრძოლის ეპიზოდებით მდიდარია ჩვენი ხალხური შემოქმედება. მაგალითად, თელეთის წმ. გიორგის შესახებ არსებობს შემთხვევითი თქმულება: რომ თელეთის წყაროს გველაშაბი მფლობედა და უწყლობით ხალხს სტანჯავდა. მაგრამ ხანგრძლივ ვედრების შემდეგ ღმერთმა თელეთელებს მეომარი ქაბუკი წმ. გიორგი გამოუგზავნა, რომელმაც გველაშაბი დაამარცხა და იგი ამ წყაროს სამუდამოდ მოაშორაო. ასეთივე თქმულება არსებობს მითრას შესახებ: „მითრას ხართან ბრძოლის დროს დედამიწაზე ჩნდებიან პირველი ადამიანები: არიმანი (ბოროტი ღვთაება) რასაკვირველია მაშინვე შეეცადა, რომ იგინი დაეღუპა. არიმანის მეოხებით დედამიწაზე ისეთი გვალვა დაიჭირა თურმე, რომ ადამიანები წყურვილით იხოცებოდნენ. სასოწარკვეთილებმა მითრას დახმარება სთხოვეს. ჩქარა მათ მოველინა მშვილდ-ისარიო შეიარაღებული მითრა, რომელმაც ისარი სტყაორცნა არიმანისაგან შეკრულ კლდეს და წყაროც მაშინვე გადმოჩუხჩუხდაო“<sup>1</sup>.

ფშავ ხევსურეთში წმ. გიორგი კოპალა განუწყვეტლივ ებრძვის და მუსრავს ბოროტ დევებს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ხალხურ თქმულებით წმ. გიორგი დაკავშირებულია თვით ამირანთან. მაგალითად, სოფ. გერგეთში არსებობს ასეთი გადმოცემა, რომ როდესაც ღმერთმა თავხედობისათვის ამირანი დასაჯა და მიწაზე მიჯაჭვავო, ამით უნდოდა მის დაუძინებელ მტერს გველაშაბს ესარგებლა და ამირანის შეკმა განიზრახაო, მაგრამ ეს წმ. გიორგიმ გაიგო, იქვე გაჩნდა და გველაშაბი გააქვავაო და სხვა.<sup>2</sup>

ამიტომ განსაცდელის ჟამს ქართველი ხალხი, როგორც მითრას მითრიელები, მფარველობისათვის მხოლოდ წმ. გიორგის მიმართავდნენ. მითრა იყო ლაშქრისა, მძლეობისა და გამარჯვების ღვთაება, რომელიც მითრიელების წარმოდგენით ლაშქარს წინ მიუძღოდა და მტერს მუსრავდა. ამიტომ მითრას მიძღვევრები ატარებდნენ „მითრას მოლაშქრეთა“ (milites Mithrae) საპატიო ტიტულს. უძვეველი მითრას დროშის წინამძღოლობით იბრძოდა ლიციინის ლაშქარი კონსტანტინე მეფის წინააღმდეგ<sup>3</sup>.

წმ. გიორგიც ასეთივე მეომარი და უძლეველი მხედრათ იყო ჩვენში წარმოდგენილი. მაგალითად, სუჯუნის (სამეგრელო) წმ. გიორგის ხატებზე წარწერები ასე იწყება: „მხედართ მთავარო შეიდ წილ უძლეველო მოწამეო გიორგი“...; „მხნეო მხედარო ქრისტესო გიორგი“...; მძლეო: დიდო: მხედარო:„ და სხვა<sup>4</sup>. ფშავ-ხევსურეთში წმ. გიორგი ლაშარის ჯვარი და გუდანის ჯვარი (წმ. გიორგია) მოლაშქრეთა წინამძღოლათ ითვლებოდა. ლაშარი ფშაველის წარმოდგენით გმირი და უძლეველი მხედარია. იგი მტრისაგან იცავს ფშავესხევს და ლაშქრობის დროს წინ უძღვის მათ და მძლეობის მომცემიო. ეს უძლეველი მხედარი ლურჯაზე ზის და თავის ყმათ უხილავად დაჰყვებაო, რომ ისინი განსაც-

<sup>1</sup> Н. А. Кун, *Op. cit.* გვ. 135; ე. А. Рагозина, *Op. cit.* გვ. 83, 85.

<sup>2</sup> ს. მ. კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, ტფილისი 1935 წ. გვ.

<sup>3</sup> И. Боричевский, *Op. cit.* გვ. 29.

<sup>4</sup> ექვ. თაყაიშვილი, არქეოლ. მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო ტ. III, ტფილისი 1913—1914 წ. გვ. 24, 25, 28.

დელისაგან დაიფაროსო. ლაშარშივე წყდებოდა ლაშქრობისა და ზავის საკითხები, აქ იყო დიდი ლაშარის დროშა, რომელიც ლაშქარს წინ მიუძღვოდა. ასეთივე მებრძოლია ხევსურეთის გუდანის ჯვარი, რომელსაც წმ. გიორგობით ლოცულობენ. ლაშქრობის საქმეს გუდანის ჯვარს ეკითხებოდა და ხევსურეთის ლაშქარს წინ მუდამ გუდანის დროშა მიუძღოდა. ხევსურების რწმენით, თუ გუდანის წმ. გიორგის ლაშქრობაში გაუქირდებოდა მას მორიგე ღმერთის ბრძანებით შეეშველებოდნენ: კობალა, პირქუში და სხვა<sup>1</sup>.

საქართველოს სამეფო აღამზედაც წმ. გიორგი იყო მითრასავით გამოსახული გარშემო შვიდი მნათობით. და ეს დროშა სამეფო ლაშქარს მუდამ წინ მიუძღოდა. ამასთანავე საყურადღებოა, რომ როგორც რომაელი იმპერატორები თავიანთ გამარჯვებებს ძითრას მიაწერდენ, ისევე ქართველი მეფეებიც თავიანთ გამარჯვებებს წმ. გიორგის განგებას აწერდნენ. გიორგი მესამის სახელმწიფო ბეჭედზე ეწერა: „წმინდაო გიორგი, მოსავი შენი გიორგი, ძალითა შენითა ვძლევ მტერთა ჩემთა“-ო<sup>2</sup>. ამასვე მოწმობს ლევან მეორე დადიანის წარწერები ილორის წმ. გიორგის ხატებზე, სადაც ის თავის გამარჯვებებს წმ. გიორგის მიაწერს<sup>3</sup>. მათ შორის ჩვენ აქ მოვიყვანთ ლევან II დადიანის წარწერის ერთ ნაწყვეტს ილორის ხატზე. ეს წარწერა ასე იწყება: ჭა ქრისტიანეთა ზღუდეო, მორწმუნეთა და მხოვეთა შენთა ლხინებაო, ბრძოლათა გამარჯვებაო, დიდო ახოვანო გონებითა, მკედარო ძლიერებითა, უჭუდავი მიუდრეკელობითა, უმკნესი ღვაწლითა, ზეცად აღსრული საქმითა. რომელი ჰნათობ სოფელსა, დავლი უფსკრულსა... უფალო ყოვლისა სოფლისაო, ვარსკვლავო განბრწყინებებითაო, ქვეყანისა დიდებაო, ღირსებისა ქებაო, კანდიერებისა ყვავილო... მრავალფერითა განსაცდელითა უძლეველო, ძლიერებითა მძლეო... მკნეო მკედარო, ღვაწლითა შემოსილო, შვიდ-წილ უძლეველო, ახოვანო, მოწამეთა მთავარო, სასწაულთა მოქმედო, წმინდაო გიორგი“... და სხვა.

შემდეგ ჩამოთვლილია ყველა ის გამარჯვებები, რომლებიც მოუპოვებია ლევან I დადიანს წმ. გიორგის შეწევნითა და ძალითა იმერეთის მეფეზე. (M. Brosset. Op. cit. გვ. 100). ამ წარწერაში, როგორც ჩვენ ვხედავთ წმ. გიორგი ისეა დახასიათებული, როგორც მითრა იესო-სადეში (სავედრებელი ჰიმნებში). საქართველოში წმ. გიორგის მითრასავით შეილდ-ისრებს სწირავდენ, რომლის შესახებ „იესო-სადე“, ში სხვათა შორის ნათქვამია: „რომ მითრას ეტლი საესეა შეილდ ისრებით, რომლითაც ის მავნე და ბოროტ სულებს ჰგმირავსო“.

მაგრამ წმ. გიორგი ჩვენში მითრასავით შინაური საქონლის და მწყემსების მფარველად ითვლება, რომლის შესახებ დღემდე ნრავალი თქმულებაა ხალხში დარჩენილი<sup>4</sup>.

1. ს. მაკალათია, ფშავი გვ. 194.

2. ს. მაკალათია, ხევსურეთი, ტფილისი 1935 წ. გვ. 238.

3. Н. Кондаков, Описание памятников древности Грузии, СПб., 1890 г. стр. 41.

4. M. Brosset, Voyage archeologique sept. rapport „Odich“, S. Peter.



ფშავლები წმ. გიორგის თავიანთ ფარის მფარველად სთვლდნენ. გვირგვინ-  
ბას ყაზბეგში დეკანოზები სხვათაშორის ამბობდნენ: „დიდება ჰქონდეს სორბის  
და ბახტრის წმ. გივარგის, მწყემსების პატრონსა“<sup>1</sup>.-ო, სვანეთში სოფ. ჰადიშის  
წმ. გიორგის ეკლესიის ხის ჯვარზე ასეთი წარწერაც მოიპოვება: „წმინდაო  
გიორგი ჩაინშისა მეობ და მფარველ ექმნენ ცხენსა და ჯორსა ჩემსა“-ო<sup>2</sup>.

ხევსურეთშიაც არსებობს ერთი საყურადღებო ლეგენდა. ერთხელ თურმე  
ემშაკებმა ხევსურების ფარა წაასხეს. წმ. გიორგი ემშაკებს გამოჰკიდებია, ფარა  
წაურთმევია და ხევსურებისათვის უკანვე დაუბრუნებია. საქონლის მწყემსობა  
წმ. გიორგის თავის ერთგული ძაღლისთვის მიუზღვია. ასეთივე თქმულება არ-  
სებობს მითრას შესახებ, რომელიც ბოროტი ძაღლის (არიმანი) მიერ გატაცებულ  
საქონელს თავისი ძაღლის დახმარებით პატრონს უკანვე უბრუნებდა. ამის შე-  
სახებ მითრას ერთ ერთს ჰიმნში ნათქვამია: „... შორს გატაცებული ძროხა  
(შოპარული) შესთხოვს მას (მითრას) დახმარებას: ოდესღაც ხარი მითრა, ფა-  
რთო საძოვრების პატრონი დაგვიხსნის დროუჯებისაგან (ბოროტი სული) და  
უკანვე წაგვიყვანს ჩვენსადგომშიო“ (В. А. Рагозина, *Op. cit.* გვ. 81).

საქართველოში გავრცელებულია წმ. გიორგის ხატზე დაფიცების წე-  
სები. ჩვენი ხალხის რწმენით მისი ტყუილი დაფიცება დიდ ცოდვათ ითვლება  
და მატყუარას წმ. გიორგი ბოლოს მოუღებსო. მაგალითად, სამეგრელოში ცნო-  
ბილია, თავის სიძლიერით ყულისკარისა და ალერტის წმ. გიორგის სასწაულ-  
მოქმედი ხატი, რომელზედაც სწარმოებს მტყუანის დაფიცება და ხალხის თქმით  
მის ტყუილ დამფიცებელს ოჯახი ამოუწყდებაო. აფხაზებს სწამთ, რომ ილო-  
რის წმ. გიორგის ტყუილ დამფიცებელს ოჯახი დაელულებაო<sup>3</sup>. კახეთში ფიცის  
დროს თელეთის წმ. გიორგის იმონებენ და ამბობენ: „ვინც სკყუის, თელეთი  
გაუწყყრესო“ და სხვა. გიორგობას ქადაგად დაცემულნი მორწმუნეებს აფრთხი-  
ლებენ, რომ წმ. გიორგის ყოველგვარი დანაპირი შეუსრულან, წინააღმდეგ  
შემთხვევაში იგი მათ დიდი უბედურებით ემუქრებაო<sup>4</sup>.

თუ ოჯახში რაიმე უბედურება, ან ავადმყოფობა გაჩნდება ჩვენში, მაშინ-  
ვე წმ. გიორგის ბრალად სთვლიან და მკითხავთან გარბიან. მკითხავი მათ აჯე-  
რებს, რომ წმ. გიორგისათვის დანაპირი არ შეგისრულემათო, რასაც მკით-  
ხავის რჩევით მაშინვე ასრულებენ. ერთი სიტყვით წმ. გიორგის წინაშე ტყუ-  
ლი ფიცი აღარ შეიძლება, რადგანაც მას არაფერი დაემალებაო და მატყუარ-  
საც სასტიკად დასჯის. სწორედ ამგვარივე თვისებებით ხასიათდებოდა ღვთაება  
მითრაც, რომელიც მატყუარს სასტიკად სდევნიდა. მითრა მატყუარას ხელ-ფეხს  
უღუნებდა, თვალს და ყურს უჩლუნგებდა, მის ოჯახს ვაჟებისაგან და შინაურ  
პირუტყვისაგან ანადგურებდა<sup>5</sup>.

1. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. ხევი, ტფილ. 1935 წ. გვ.

2. ჩემ მიერ სვანეთში შეკრებილი და ჯერ დაუბეჭდავი მასალიდან არის ამოღებული.

3. Н. Дубровин, История войны на Кавказе, т. I СПб. 1871 г. стр. 25.

4. Л. Меликсет-Беков „Страна св. Георгия“ (Изв. Кав. Отд. Русс. Географ. Общ., т. XXIV, 1916 г. № 2, стр. 227—228.) საქარ. მუხ. მოამბე. ტ. I, 95.

5. J. Darmesteter, *Op. cit.* II, Vol. Mihir, გვ. 697—700; 3- ა. Рагозина *Op. cit.* გვ. 83.

წმ. გიორგი ხალხურ წარმოდგენაში მითრასავით ერთ და იგივე დროს კეთილი და სასტიკი ღვთაებაც არის. თუ ადამიანი მისი ერთგულია, იგი მკურნალობს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მისი ოჯახის გამანადგურებელია. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ჩვენში გიორგობასთან, როგორც მირსობასთან, დაკავშირებულია თვალის საღობისათვის ვედრება. ამ მხრივ საქართველოში თვალის მკურნალობით ცნობილია ტფილისის კალოუზნის და თელეთის წმ. გიორგის სასწაულმოქმედი ხატი, რომელსაც გიორგობას თვალით სნეულები განკურნებას შესთხოვედნ და მას თვალის კაკლის შარნებით ამკობდნ. ქართლში. გორის-ჯვრის ეკლესიაში გამართული იყო ქვის ზედადგარი, რომელზედაც იდგა წყლით სავსე ვერცხლის თასი და ამ თასში მოთავსებული იყო მტრედის კვერცხის ოდენა ვერცხლის თვალის კაკალი. გორიჯვრობას, ვისაც შეთქმული ჰქონდა მიდიოდა ამ ზედადგართან და მის ქვეშ გაძვრებოდა, შემდეგ იგი თვალის კაკალს დაატრიალებდა და სველ თითებს თვალეზე მოისვამდა, თან წმ. გიორგის შესთხოვდა თვალის საღობას და მხედველობის გაძლიერებას.

ამ შემთხვევაშიაც წმ. გიორგისა და მითრას, როგორც სინათლის ღვთაებათა შორის დიდი მსგავსება არსებობს და ეს გარემოება ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ წარმართულ საქართველოში წმ. გიორგის წინამორბედი ღვთაება მირსა ან მითრა უნდა ყოფილიყო. ამას გარდა ავთვალისა და მოჯადოების წინააღმდეგ შელოცვის დროს ჩვენში მითრასავით წმ. გიორგის იშველიებენ: „სამოცდა სამი წმ. გიორგის ლახვარი ეცეს ამის მოარმეს“ (მოჯადოებულის სახელს იტყვიან) ამის მოქიშპეს, ამის ავი თვალით და სულით შემხედველს“ და სხვა.

ღვთაება მითრაც ამგვარადვე ექცეოდა თვალთმაქცებს და ავთვალისანებს, რომლებსაც იგი თავის ლახვარით ჰგმირავდა.

წმ. გიორგი საქართველოში სხვათა შორის ცნობილია, როგორც ავზნიანების, დახუთულობისა და სულითავადმყოფების მკურნალი. ამიტომ ამგვარ ავადმყოფებს ალოცებენ წმ. გიორგის მთავარ ხატებში და წმ. გიორგის შესთხოვენ მათ განკურნებას. ასევე მიმართავდნენ მითრას მისი მორწმუნენი და ევედრებოდნ მას კეთროვანებისა და ავი სულით შეპყრობილების განკურნებას. რადგანაც მაზდეანური რწმენით არიმანი (ბოროტი ღვთაება) კეთილ მორწმუნებს ებრძოდა და იგი მაცილ-ეშმაკების დახმარებით სცდილობდა მათ განადგურებას, ამიტომ სულითავადმყოფი მათში ითვლებოდა არიმანის განზრახვით ბოროტსულით შეპყრობილად.

სოფელ გოდოვანში და გარახაში, სადაც იმართებოდა ჯეჯე-მისარონის ხატობა მიყვდათ სულით ავადმყოფები და ვისაც შეთქმული ჰქონდა ასეთ ავადმყოფს ჯეჯე-მისარონის ხატს დაუწვევდა „ხატიში ოთონჯირათა“, ღამეს უთევდა და ევედრება ჯეჯე-მისარონს მის განკურნებას.

ხეესურეთში ცნობილია კოპალა კარატის წვერისა (წმ. გიორგი), რომელიც ებრძვის მაცილ-ეშმაკებს. ხეესური ყოველგვარ უბედურებას მიაწერს ამ აუსულესა და მაცილ-ეშმაკებს. მისი წარმოდგენით იგინი ადამიანებს ებრძვიან, ხიბალებენ, ავად ხდიან და ბოლოს სიცოცხლეს ასალმებენ. მაცილ-ეშმაკებისაგან მოხიბლულს (ბნედიანს) ხეესურები კარატის დროშით „აკოპენებენ“.



კარატის დროშის წინ ავადმყოფს დააჩოქებენ. ხუცი დროშას აიღებს, სამჯერ ავადმყოფს დროშის ქლარუნით შემოუვლის და იტყვის: „გმირო კრპაძე“ (წმ. გიორგი) ლაღო ლახტიანო, დახკარ ლახტი, იხმარე შენი ძალი, შრაშორე შაცილი და ეშმაკიო“<sup>1</sup>. სოფელ არხოტში ქალს თუ ბნედა მოსდის, იგი მიყავთ წმ. გიორგის ჯაჭველის ხატში და მას აქ „დაკოჭავენ“.

სულით ავადმყოფებისა და ბნედიანების მკურნალად ქართლში ცნობილია თავგერის წმ. გიორგი, რომელიც მოთავსებულია ვანათის ზემო ერთ მაღალ კლდეზე. აქ მოსახლეობენ ისები და ამ სალოკავს ისინი „ჯგერ“, „ჯერ“-ს უწოდებენ, იგივე ჯგამ, ჯგევე და ჯგვრავ-ია, რაც ნიშნავს მუხის ხეივანს=წმ. გიორგის<sup>2</sup>.

თავგერისთობას (იწყება 27 აგვისტოს ახალი სტილით და გრძელდება სამი კვირა) აქ მოყავთ ბნედიანები და გერის წმ. გიორგის ღამეს უთევენ. აქ არის ერთი მაღალი კლდე და წინათ ამ კლდიდან ბნედიანს დაჰკიდებდნენ და ეტყოდნენ: „სთქვი შენი ეშმაკის სახელიო“ და სანამ ავადმყოფი ეშმაკის სახელს არ იტყოდა მას არ ამოიყვანდნენ. გერის წმ. გიორგის შთაგონებით ავადმყოფი ეშმაკის სახელს დაიძახებდა თურმე და ამის შემდეგ ხალხის რწმენით იგი იკურნებოდაო. სულით ავადმყოფების მკურნალად ითვლება აგრეთვე ილორის წმ. გიორგი და ამ მიზნით ილორობას იქ მიყავთ ბაჯალურით (ჯაჭვია) შეკრული გიეები.

ავადმყოფს ეკლესიის კარებში დააჩოქებენ და წმ. გიორგის შევედრებთან შევლასა და ავსულებისაგან განთავისუფლებას. შემდეგ სულით ავადმყოფს ეკლესიაში შეიყვანენ და ილორის წმ. გიორგის ხატს დაუწვიენენ „ხატიში ოთონჯირაფა“. ბოლოს ნათე სულით ავადმყოფს რკინის შვილდში გამოატარებს სამჯერ წაღმა და წმ. გიორგის შევედრება, რომ მან ავადმყოფი გაანთავისუფლოს ეშმაკ-მაცილებისაგან. და ამ ბოროტ-სულების გაქარვების მიზნით ნათე აიღებს „ოჯეს“ საყვირს, მიიტანს ზედ ავადმყოფთან და მას სამჯერ დააყვირებს. ამით ხალხის წარმოდგენით, ვითომც ეშმაკები დაფრთხებიან და ავადმყოფს მოშორდებიანო. სულით ავადმყოფს კარში რომ გამოიყვანენ ტაძრის ეზოში მას „ატლეჩობა“-ს ათამაშებენ. ავადმყოფი დახტის, ფეხებს უსვამს და თან გაჰკვივის და ამ დროს მას ავისულები მოშორდებიან და ავადმყოფი იკურნებოა. რაც შეეხება ღამის თევას, ქადაგად დაცემას და ყოველგვარ მისნობას, რაც წმ. გიორგის ხატთან არის დაკავშირებული, ყველაფერი ეს ახასიათებდა მითრას მისტერიებსაც.

ღიდ დღესასწაულებში, როდესაც ქურუმები მითრეუმებში მითრას გამოსახულებას მორწმუნეებს უჩვენებენ, მაშინ დაიწყებოდა ქადაგად დაცემა, ვედრება და წინასწარმეტყველება<sup>3</sup>.

რაც შეეხება წმ. გიორგის გამოსახულებას ქართულ ხატებზე, ფრესკებზე, დროშებზე და სხვა სამკაულებზე, იგი ამ მხრივაც წააგავს მითრას ბარელიე-

<sup>1</sup> ს. მ. კ ა ლ ა თ ი ა, ზვესურეთი, ტფილისი 1935 წ.

<sup>2</sup> H. Mapp, Op. cit. t. V. გვ. 139-140.

<sup>3</sup> Albrecht Dieterich Op. cit. გვ. 93-134.

ფებზე გამოხატულებას. მაგალითად, ჯუმათის, ალავერდის, იფარის და სხვა ხატებზე წმ. გიორგი მითრასავით ერთ ხელში გრძელ შუბით და მეორეში ხმლით არის წარმოდგენილი; ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ზუგდიდში<sup>1</sup> და ცული ილორის წმ. გიორგის ხატი, სადაც წმ. გიორგი მითრასავით სდავას, ორივე ხელში მკერდის გასწვრივ ხმალი უჭირავს, რომელიც ქარქაშიდანაც თითქმის ამოუზიდა და უნდა ჩასცეს მისივე მარცხენა გვერდით მდგომარე რქოსან ხარს<sup>1</sup>.

მაგრამ ჩვენ თუ შევედარებთ წმ. გიორგის ქართულ ფრესკებზე და ძველ ქართულ დროშებზე ჩვეულებრივ გამოხატულებას, სადაც წმ. გიორგი მითრასავით თეთრ ცხენზე მჯდომარე არის გამოხატული, ხელში გრძელი შუბით, აღმოსავლურ ტანთსაცმელში, გარშემო შეიდი მნათობით, მაშინ მათ შორის სრულ მსგავსებას აღმოვაჩინებ<sup>2</sup>.

ერთი სიტყვით წარმართული რწმენისა და რიტუალის შესწავლიდან ირკვევა, რომ ქართულ წმ. გიორგის თავის ღვთაებრივობით გენეტიური კავშირი ჰქონდა წარმართულ მითრასთან ან მირსასთან, რომლის კულტი მითრაიზმის სახით გავრცელებული იყო ძველ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში.

ამგვარად, ჩვენი დასკვნა ჯეგე-მისარონის (წმ. გიორგი=მითრას) კულტის საქართველოში გავრცელების შესახებ შემდეგი იქნება:

ღვთაება მირსას რწმენა გავრცელებული იყო წარმართულ საქართველოში მაზდეანურ მოძღვრებასთან დაკავშირებით. ამას მოწმობს დასავლეთ საქართველოში დღემდე დაცული „მირსობა“, მეფსარიობა და „ჯეგე-მისარონი“, რომლის შესრულების დროს მლოცველები მირსას, იგივე ჯეგე-მისარონს, როგორც სინათლისა და კეთილის ღვთაებას, თვალის საღობას შესთხოვენ. ამასთანავე მირსას ზვარაკად სწირავენ ღორს „ომირსეს“, რომელიც ავესტაში მითრას წმ. ცხოველად არის მოხსენებული.

ამის გარდა ქართულ უძველეს მატრიანებში მოხსენებული ღვთაება ზადენი yazata თავისი დამახასიათებელი თვისებებით მითრას შესატყვისი ღვთაებაა, რომელიც ავესტის ჰიმნებში (yeshts) ხშირად მოხსენებულია Mihir—yazata-დ. თვით ქართულ ხალხურ სარწმუნოებრივ თქმულებებში და რიტუალში მცემულია მითრაიზმის რწმენის დამახასიათებელი მოვლენები, რომელშიაც წითელი ზოლივით გატარებულია კეთილ და ბოროტ ძალებს შორის დაუსრულებელი ბრძოლა და ბოროტებაც წარმოდგენილია დევ-გველავაშათა სახით, ამის სანიშნო ილუსტრაციას წარმოადგენს ქართული თქმულება ამირანზე, კოპალაზე, იანსარზე, ათარზე—*ādar* და სხვა.

მირსობას ჩვენში დღესასწაულობენ თებერვალში და ამ თვეს ძველ ქართულ წარმართულ კალენდარში ეწოდება „მიპრაკანი“, რაც ნიშნავს მირსას ან მითრას თვეს.

საქართველოს მეფე-დიდებულებიც ხშირად მირსას სახელწოდებას ატარებდნენ, როგორც, მაგალითად, მიპრდატი ფარსმან მეფის შვილი, მიპრანი ან მი-

<sup>1</sup> იხ. სურათი J. Mourier, La Mingrelie, Odessa, 1883, გვ. 392; ამ ხატის აღწერილობა იხ. ექვ. თაყაიშვილი, არქეოლ. მოგზაურობა სამეგრელოში (ძველი საქართველო, ტ. III, ტფ. 1913—1914 წ. გვ. 194.)

<sup>2</sup> F. Cumont, Op. cit., II, Fig. № 351, 357

რიანი, ქართველის პირველი ქრისტიანი მეფე (361 წ. ჩ. ნ.), მიჰრანი ქართლის პიტიახში და სხვა.

საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ ჩვენში შემოდის წმ. გიორგის რწმენა და წმ. გიორგი ხალხის რელიგიურ შემეცნებაში თანდათანობით იღებს მირსას განსახიერებას. ამას მოწმობს სამეგრელოში დაცული სალოცავი „ჯეგემისარონი“ (წმ. გიორგი=მირსა) თავისი რიტუალობით.

წმ. გიორგის წინამორბედი ღვთაება საქართველოში მირსა იყო და მათ შორის არსებობს გენეტიური კავშირი. ორივე ღვთაებას წირავდნენ ხარებს ერთნაირივე რიტუალობით. მათი ღვთაებრივი და ზნეობრივი თვისებები და აგრეთვე ფუნქციონალობა ერთგვარია.

წმ. გიორგი და მირსა ასრულებენ შუამავლის როლს ღმერთსა და ადამიანთა შორის. ორივე ებრძვიან ყოველგვარ ბოროტებას და წარმოდგენილნი არიან როგორც მებრძოლნი და უძლეველნი და ამავე დროს კეთილისა და სინათლის ღვთაება. წმინდა გიორგი და მირსა მეჯოგეთა, მიწადმომქმედთა და მოლაშქრეთა მფარველია. ორივენი ჰკურნავენ კეთროვანებსა და სულით ავადმყოფებს.

წმ. გიორგისა და მირსას განსახიერება ხალხურ წარმოდგენაში და ნივთიერ ძეგლებზე ერთგვარია: ორივეს აცვია რომაული ტანისამოსი, ხელში უჭირავთ შუბი და ფარი, წელზე შემორტყმული აქვთ ხანჯალი და სხვა.



С. МАКАЛАТИЯ

## Культ Джеге-Мисарони в древней Грузии.

(Резюме)

Среди языческих богов, предшествовавших христианству, одно из первых мест занимал бог Мифра или Митра.

Первый период митраизма обнимает собою историю возникновения культа Митры на Востоке и его распространения в Малой Азии, с древнейших времен до начала хр. эры.

Второй период начинается распространением митраизма из Малой Азии в европейских странах, а именно, по всей территории Римской империи, начиная с I в. до хр. эры по III век хр. эры.

Митра в „Зенд-Авесте“ именуется „Mihr“-ой, что означает свет или сияние, при чем, он упоминается параллельно с главным божеством иранцев Агура-маздой. Как бог света, Митра и в Авесте считался солнцем и оком Агура-Мазды, он обладает небесным сводом и все небесные светила подчиняются ему. С помощью солнца, луны и звезд он оберегал мир от зла. Митра стоял на страже между двумя божественными началами—между Агура-Маздой (бог добра и света) и Ариманом (Ангра-Майнью, злой дух, бог тьмы) и как злейший враг бесов и духов тьмы, он вел с ними борьбу; они бегут от лица Митры или гибнут под ударами его неодолимого оружия.

Митра как бог добра и света, преследовал все злое и порочное, поэтому в гимнах он рисуется поборником зла и заступником угнетенных.

В древнем Иране культ Митры получил исключительное распространение во время Ахеменидов; там он считался покровителем войнов и сами иранские цари и их военачальники носили его имя.

Культ Митры был распространен также и в древней Армении, где он известен был под именем „Mihr“. Агафангел называет его сыном Ормузда (Агура-Мазда).

У армян Mihr“ был богом невидимого огня, а видимым его проявлением были: „Арег-акн“—солнечный глаз, глаз Ормузда или



иначе, видимое солнце. „Лусин“—луна, символ огня, которую Моисей Хоренский называет сестрой огня. Армянскому „Mihru“ посвящен был февраль месяц и этот месяц в древне-армянском календарю назывался „Meheki“.

Грузинские исторические данные и вещественные памятники не дают прямых указаний и сведений о существовании в древней Грузии культа Митры, но близкая культурная и религиозная связь Грузии с культурными народами Востока дает полное основание предполагать, что универсальная религия митраизма должна была иметь распространение и среди грузинского населения.

В древних грузинских летописях в числе богов упоминается главный бог „Армаз“ (Агура-Мазда) и наличие в Грузии главного бога Армаза само собой подразумевает существование в ней культа Митры, который считался вторым лицом Агура-Мазды. О существовании Митры в языческой Грузии впервые отметил акад. Н. Я. Марр, признав Митрой Задена—одного из семи богов грузинского языческого пантеона. Но более убедительный материал о существовании в древней Грузии культа Митры мы имеем в религиозных пережитках и ритуальных обрядах, которые сохранились до недавнего времени среды грузинского населения. Доказательством служит сохранившийся в Западной Грузии весьма знаменательный ритуал, связанный с культом бога Атара и Мирси.

Абхазский „Аятар“ и мегрельский „Жини Антари“ есть нечто иное, как упомянутый в Авесте язата (добрый дух)—âdar—ôtar—бог огня, называемый в Авесте сыном Агура-Мазды. Абхазо-мегрельский Аятар-Антар имеет сходство с иранским Атаром, как в отношении самого имени божества, так равно в отношении верования и ритуала. Существование же культа Атара в Грузии само собой подразумевает существование в ней культа Митры, которого мегрелы называют Мирса, а его праздник „Мирсоба“. Сваны называют его „Меисариб“, а гурийцы „Моисароба“. В день мирсоба в нагорной Мегрели устраивался „хатоба“—праздник в честь „Джеге-Мисарони“ (в сел. Курзу, Годогани, Гараха, Геджети и проч.). В день мирсоба мегрелы по обычаю трижды обводили свинью „омирсе“ вокруг своего очага, прося у Джеге-Мисарони благополучие семьи. Затем резали свинью и совершали ритуал моления глаз, с'едали по одной паре яиц и лепешки.

Многие из богомольцев по данному обету Джеге-Мисарони проводили в церковной ограде всю ночь в бдении. Сюда-же приводили на исцеление душевнобольных, а также страдающих глазами болезнями, заставляли их лечь перед иконой Джеге-Мисарони и прося у него исцеления. В качестве жертвенного приношения, стра-



дающие глазными болезнями приносили с собой восковые кружки, т. е. глазное яблоко, яйцо, свечку и серебрянную монету.

„Мирсоба“ совершали и сваны, которые „Меисариб“ считали большим праздником и по сванскому народному поверью, не исполнившего этот обряд постигает глазная боль.

Таким образом, вышеуказанные пережитки народного верования приводят нас к весьма знаменательным выводам. Помимо сходства имен: в Авесте „Mithra“ у мегрелов „Мирса“, у сванов „Меисар“, у Гурийцев „Моисари“ и другие моменты внутреннего характера сближают друг с другом Иранского Мифра и Грузинского Мирса. Грузинский мирсоба по существу ритуал, связанный с глазом, как с источником света. В празднике мирсоба верующие приносят в жертву свинью, варят круглые лепешки и яйца. Празднование совершается в феврале месяце, при чем в Мегрелии этот праздник приурочен к четвергу „Цаашха“ (день неба). Мы знаем, что Митра назывался оком Агура-Мазды, при чем его эмблемой служило изображение глаза. В древней Армении солнце и луна назывались оком Митры.

Кроме того „мирсоба“ в Западной Грузии праздновался в феврале месяце также, как это было в Армении, в Иране и в других восточных странах. В древнегрузинском языческом календаре этот месяц назывался именем „Mihri“ или Мирсы—месяц „Mihgasani“ или „Mithrasani“ что означает месяц Митры.

Кроме того, существование культа Митры в Грузии подтверждается еще теофорическими именами Митры, которого носили грузинские цари и правители (Mihrdad, Mihran, Mihrian).

Но вопрос о существовании культа Митры в Грузии не исчерпывается этим. Для нас важно установить, каким изменениям подвергался в Грузии культ Митры в христианском периоде и в образе какого христианского святого он нашел свое божественное олицетворение. Чтобы ответить на этот вопрос, нам не приходится вдаваться в область гипотез и делать различные предположения. Вполне определенное указание на это дает самое имя мегрельского синкретического божества „Джеге-Мисарони“, что на мегрельском наречии обозначает—святой и вместе с тем св. Георгий—Мирса (Митра). Равным образом, у сванов „Джгвираг“ также обозначает св. Георгия.

Таким образом, в религиозном представлении грузин в образе Джеге-Мисарони мы имеем св. Георгия—Мирса, иначе говоря языческий Мирса отождествлен с христианским Георгием.

Но генетическая связь между Джеге (Георгий) и Мисарони (Митра) не ограничивается одним лишь их наименованиями. В на-

горной Мегрелии церкви, построенные во имя св. Георгия, назывались „Джеге-Мисарони“ и праздник в честь Джеге-Мисароний устраивались в день „Мирсоба“. В этих церквях хранились иконы с изображением св. Георгия, именуемого народом „Джеге-Мисарони“, к которому обращались с молитвой и называли его св. Георгий-Мирса.

Вышеизложенный фактический материал определенно указывает на то, что одним из предшественников грузинского св. Георгия был языческий бог Мирса.

При наличии полного единомысла в ученой среде по вопросу о языческом происхождении св. Георгия, до сих пор является спорным, кто именно из языческих богов предшествовал этому христианскому святому. Сравнительно более научно-обоснованную гипотезу выдвинул А. Гутшмид, который, проводя параллель между св. Георгием и Митрой, установил их генетическую связь. Проф. И. Джавахишвили груз. „белого Георгия“ признал богом луны. Не вдаваясь в критическую оценку этих гипотез, отметим лишь, что взгляд проф. И. Джавахишвили несколько не противоречит нашему сопоставлению св. Георгия с Митрой.

Наоборот, как мы знаем, культ Митры характеризовался поклонением астральным божествам, в особенности солнцу и луне и на барельефах Митры почти всегда изображены солнце и луна. При этом, в тех странах, где культ луны имел большое распространение, там Митру поклонялись, как богу луны. Например, в Понте Митра был представлен в образе Мена (бог луны). Также было и в древней Армении, где одним из видов внешнего олицетворения Митры служила луна. Вообще в митраизме не малую роль играл бог луны, а потому существующий в древней Грузии культ луны, естественно, должен был отразиться и в культе Митры.

Этим объясняется то обстоятельство, что в ритуале в честь груз. св. Георгия имеются интересные моменты, связанные с поклонением луне.

Наша работа ставит себе целью путем сопоставления груз. Георгия с Митрой выявить между ними существующую генетическую связь.

За неимением достоверных исторических сведений, трудно точно установить время появления в Грузии культа св. Георгия. В грузинской агиографической переводной литературе (VIII—IX в.) имеются краткие сведения о св. Георгие. Полный перевод жития св. Георгия относится к XI в.

Для установления существующего генетического родства между Митрой и св. Георгием, достаточно сравнительное изучение их

как в отношении божественной функциональности внутренних моментов верования, так равно в отношении их культа и ритуальных обрядов.

Как известно, богам, в соответствии с их функциональностью, приносили в жертву какое нибудь определенное животное. Митре, как богу света и победы, обычно, приносили в жертву быка, в особенности по всей римской империи, где Митру обычно изображали убивающими быка.

И на праздниках св. Георгия „გიორგობა“ по всей Грузии бык, как жертвенное животное, играл главную роль. В этом отношении богатый материал содержит в себе такой обрядовый праздник, как „ილორობა“, устраиваемый в честь св. Георгия илорского, где культ быка играл существенную роль.

Сопоставляя описание праздника св. Георгия илорского с мистериями борьбы Митры с быком, мы имеем очень много сходных моментов. Во первых, св. Георгий илорский крадет быка и приводит его ночью в Илорскую церковь. Св. Георгия верующие называли „быкокрадом“ („харипариа“). Это наименование тождественно слову „būkropos“, которое было одним из эпитетов Митры.

В Ацхурском празднике св. Георгия (в Кахетии), мы имеем один из моментов борьбы Митры с быком, когда после продолжительного преследования он сваливает быка с ног и вонзает ему нож.

Весьма характерно, что в Грузии существует „Ломиский“ св. Георгий“. Возможно, что само наименование быка „лома“, которое происходит от грузинского слова „ломи“ (лев), что значит лев, первоначально было связано со львом, который в культе Митры занимал четвертое место. На барельефах Митры часто встречаются изображение льва, как символ огня. На барельефах древнегрузинских церквей во имя Георгия имеются изображения льва. В Сванетии в сел. Местиа хранится знамя с изображением льва. В Кахетии, Некрескому Георгию посвящали быка, которого называли „лом-тахи“ (лев-кабан).

Из птиц св. Георгию в Грузии обычно жертвовали петуха, который считался священной птицей Митры.

В день праздника Георгия в Телети, в Арбо, в Гери, в Ацхури и др. местах богомольцы привозили петухов.

Утром на рассвете, держа петуха за пазухой, молящиеся трижды обходили церковь, а затем петуха выпускали из рук.

Но кроме общности культовых животных и связанных с ними обрядов, более существенное родство, между Митрой и груз. Георгием устанавливается выявлением внутренних моментов их божественной природы, функциональности и сферы деятельности. Преж-

де всего груз. Георгий и Митра выступают в роли посредников между верховным божеством и людьми. Оба они ведут непрерывную борьбу против зла, которое олицетворяется в виде „дэвов“ (великанов).

Хевсуры верили, что св. Георгий—Копала вечно ведет борьбу с злыми „дэвами“ и беспощадно истребляет их.

По представлению верующих, Митра был бдительный и не победимый бог, который предводительствовал войском и истреблял врагов. Такими же чертами могучего и непобедимого воина наделяло грузинское народное верование св. Георгия, о чем свидетельствуют надписи на иконах св. Георгия. Грузинские цари и правители свою победу над врагами объясняли волей св. Георгия, также как римские императоры свои успехи на войне приписывали Митре.

Далее, св. Георгий, также как и Митра, по поверью грузин, является покровителем домашних животных и заступником пастухов.

По всей Грузии виновника заклинали именем св. Георгия. По верованию народа, за ложную клятву Георгий карает строго. Таким же поборником правды был и Митра, которого нельзя обмануть; его гнев и проклятье по учению маздеянцев, постигнет клятвopеступника: Мифра поразит лжеца.

Георгий и Митра являются исцелителями правоверных от различных недугов; так например, глазные больные обращаются к Георгию, как Мирсе (Митре), с молитвой об исцелении глаз и сохранении невредимости зрения. Далее св. Георгий в Грузии славился как целитель эпилептиков и душевнобольных. Поэтому на храмовые праздники Георгия везли этих больных и просили об исцелении. Митра также считался целителем душевнобольных и прокаженных.

В Карталинии целителем душевнобольных считался св. Георгий герский. Грузины его называют „гери“, осетины „джгер“ или „джер“, то же, что мегрельское „джеге“, что означает Георгия. На праздник св. Георгия герского приводили душевнобольных на поклонение, ночь проводили в бдении, прося Георгия исцеление больного. Утром больного вели к высокой скале у церковных ворот. В эту скалу больного вешали вниз головой, а „мнате“ (староста) держал его за ноги и говорил: „скажи имя твоего дьявола“. Больной молчал. Тогда присутствующие угрожали его кинжалами, избивали и истязали, чтобы заставить больного сказать имя мучившего его дьявола. В конце концов изнуренный больной выкрикивал какое нибудь имя, как например „индерхан“, после чего его освобождали.

Присутствующие услышав произнесенное больным имя, единогласно восклицали, что больной силою св. Георгия герского изрек имя искушающего его дьявола и душевнобольного с этого момента считали излеченным от недуга.

Подобные ритуалы с молением об исцелении душевнобольных, проричание и прочее характеризовали также и мистерии Митры.

Даже внешнее изображение св. Георгия на грузинских иконах и церковных фресках напоминают изображения Митры на его барельефах; так, например, на Илорской иконе св. Георгий, на подобие Митры, изображен держащим в руке полуобнаженный меч, которым собирается зарезать находящегося с левой стороны быка.

На грузинских церковных фресках и на царских знаменах Георгий, как Митра часто изображался вооруженным и сидящим на белом коне; слева и справа находились солнце и луна, а вокруг них пять звезд.

Таким образом, сравнительное изучение грузинского обрядового материала и религиозных пережитков „ჯეგე-მისარონი“—св. Георгия-Мирсы; и их сопоставление с вероучением и ритуалом Митры обнаруживают генетическое родство между языческой Мирсой или Митрой и христианским Георгием.

პ.პ. რედაქტორი ივ. ჟივობია

Заказ № 351  
Главлит № 1108  
Тираж 1500

Сдано в произв. 10/VII—38

Подписано к печати 17/VII—38  
Размер набора 7×11  
Размер бумаги 72×108